საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი 23 სექტემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 300 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩით № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 215 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 215

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

გულდამწვარნი: დედა ბაბინე ივანეს ასული, მამა გიორგი ზურაბის ძე, დები: ქსენია და თამარი, ძმები ფლავიანე და გრიშა ცინცაძეები, ბებია კატინე მამიეშვილისა, სიძე ევგენი ჩიჩუა და ვისილა ცინცაძის ასული ჩიჩუასი შვილებითურთ აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ ხუთშაბათს 23 ენკენისთვეს იქნება გადახდილი წლის წირვა და პანაშვიდი ქალ. ბათუმში სოუქსუს სასაფლაოზე უდროვოდ დაკარგულის

ევლალია გიორგის ძე ცინცაძის

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე შერმანდი, შვილები: ალიოშა და კლავა, სიდედრი ირინე, სიმამრი ალექსანდრე, მაზლები: გაბრიელ და ოქროპირ, რძლები: ფედოსი, აკვირინე და ვასასი. მაზლის-შვილები: მიშა, ვალიკო, გალაქტიონ, ლიუბა, ტატიანა, ანგილინა, ვალენტინა, ნინიჩკა, ვენერა და დარეჯან, ბიცოლა: ალათი, ბიძაშვილები: ელენა, პლატონ და სამსონ სიმონეიშვილები, დედა მაკა სიხარულიძისა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 19 ამა თვეს დილით 10 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ვერა ირაკლის ასული სიმონეიშვილისა

ცხედარს გამოასვენებენ საკუთარ ბინიდან, პლეხანოვის ქ. სახლი № 199, ხუთშაბათს, ენკენისთვის 23, დილის 12 ს. დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში. (3078 1—1)

ანდრო, ნინო, ვანო, მიშა, მარო, სარა, შალვა და თამარო გეგეჭკორები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ გარდაცვალებას მათი დაუვიწყარის

ვერა ირაკლის ასული სიმონეიშვილისას

(4078 1—1)

ნათლია მატა ჭანიშვილი თავისი შვილებით გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს გარდაცვალებას მათი დაუვიწყარის

ვერა ირაკლის ასულის სიმონეიშვილისა

(3078 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ბიძა ნესტორ, ბიცოლა ვოლლა, ბიძაშვილები: ლუბა, ემელიანე, მინადორა, კატო. ქეთო და მარგარიტა, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს გარდაცვალებას მათი დაუვიწყარის

ვერა ირაკლის ასულის სიმონეიშვილისას

ღრმად დამწუხრებულნი: ბიძა ნოე, ბიცოლა მარო, ბიძაშვილები: ვალოდი, ავთანდილ, ნოე, ტარიელი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ მეგობრებს გარდაცვალებას მათი დაუვიწყარის

ვერა ირაკლის ასული სიმონეიშვილისას

(3078 1—1)

ღრმათ დამწუხრებული ბიძაშვილები: ერმილო, პლატონ, ედუკი და ფედოსი, ბიცოლა დესპინე, რძალი ასინო დასტირიან ძვირფას

ვერიჩქას

უდროოთ გარდაცვალებას. (3078 1—1)

დამწუხრებული ფედო და აგრაფინა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ და ნათესავთ გარდაცვალებას მათი დაუვიწყარის

ვერა ირაკლის ასული სიმონეიშვილისას

ქალ. ლანჩხუთში

ამა წლის სექტემბრიდან დაარსდა სახელმწიფო ოთხ წლიანი

სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი ნ. ჟორდანიას სახელობის

პირველ კლასში მიიღებიან მოწმობით დაწყებითი სკოლებში სწავლა დამთავრებულნი 14—16 წლისა. განსაკუთრებულ შემთხვევაში მიწათ-მოქმედების მინისტრის ნებართვით შეიძლება წლოვანების შეცვლა. პირველ კლასში მიიღება არა უმეტეს 30 მოწაფისა თუ მსურველთა რიცხვი აღემატება 30, მაშინ ჩარიცხვა მოხდება შეჯიბრებითი გამოცდებით. მოწაფეთა მიღება დაიწყება 20-ს და გაგრძელდება 25 სექტემბრამდე. მსურველებმა საჭირო საბუთები სწავლის და წლოვანების შესახებ უნდა გამოგზავნონ სასწავლებლის გამგის სახელზე ქ. ლანჩხუთში. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს. ზოგადი და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლათ მოწვეულია გამოცდილი მასწავლებლები ლანჩხუთის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებიდან.

(3048—3—3) სასწავლებლის გამგე: ა. ებრალიძე.

შაბათს, სექტემბრის 25-ს

მეორე სახელმწიფო თეატრში

(ყოფილი არტისტიული თეატრი)

რუსთაველის პროსპექტი № 21 დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო შეჯიბრება ამ თეატრის ბუფეტების და საკონდიტეროს

იჯარით გასაცემათ

1920—21 წლის სეზონისათვის. იჯარის დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება თეატრის კანტორაში ყოველ დღე დილის 10 საათიდან 12 საათამდე. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ ამ თავითვე უნდა წარმოდგენილი იქნეს ბეგ. (ნ. 4—2)

23 სექტემბერს ქალაქ თბილისის გარე უბნის თემის გამგეობა იწვევს

თემის ხმოსანთა საგანგებო ყრილობას

გამგეობის ბინაზე მიხეილის პროსპექტი № 171. დილის 10 საათზე. ვინაიდან ეს ყრილობა მოწვეულია მეორეთ, ამიტომ ყრილობა უსათუოთ შესდგება რამდენიც არ უნდა დაესწრონ ხმოსნები. გამგეობა.

ედუარდ კლარის ფოტოგრაფიას

აქვს სოციალისტურ დელეგაციის წევრთა სურათები თითოეულის ცალკე და ჯგუფების, რომელიც შესდგება მხოლოდ დელეგაციის წევრებისაგან ერთად, და აგრეთვე საქართველოს სხვა და სხვა ორგანიზაციის სხვა წევრებთან. ამ სურათებიდან მიიღება გადიდება ყოველგვარ ზომისა. გადაბეჭდვა აკრძალულია 1911 წ. 15 მარტის კანონით. (აკრძალვა ეხება მხოლოდ ფოტოგრაფიებს). მისამართი: დამფუძნებელ კრების ქუჩა № 5, სადაც ქართული კლუბია ზევითა სართული. (3076—2—1)

მოითხოვეთ ყველგან

გუნებით დაჯილდოვებული საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

გაწმენდილი პურის არაყი და ტკბილი სასმელები

დ. ი. კალანდაძისა

ბითუმად და წვრილათ გაშვება თვით ქარხანაში ვაგზლის ქ. № 5. (2980 – 15 6)

ქართული კლუბი

(საზაფხულო შენობა)

დღეს, 23 სექტემბერს მუშათა გაზეთის „ბანვორი ძაინის“ ფონდის გასაძლიერებლათ გაიმართება

საღამო-სეირნობა

საღამოს 4—ს. 8—ს. საბავშო საღამო ცეკვით ბავშების მოყვარულის ი. მ. ხუნდუკიანცის ხელმძღვანელობით. ლატარეია-ალეგრა, პტიშვო, ფოსტა, ყვავილები, კონფეტები და სხვა. ამერიკული აუქციონი გათამაშებული იქნება ცოცხალი თხა. საღამოს 9 ს. ქართულ და სომხურ ენებზე გაიმართება სპექტაკლი. (3571—1—1)

ურთიერთობა რუსეთთან

ამ რამდენიმე თვის წინეთ ჩამოვიდა ჩვენში საბჭოთა რუსეთის დელეგაცია. რამდენიმე თვეა წარმოებს მოლაპარაკება, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ მრავალი გარეშე თუ შინაური პირობების გამო ამ მოლაპარაკებამ საგრძნობი ნაყოფი ვერ მოიტანა.

ამ რამდენიმე დღეში საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი მიემგზავრება მოსკოვს. მისი მიზანიც იგივეა, რუსეთთან ურთიერთობის საკითხის გამორკვევა და ერთგვარ, ნორმალურთან მიახლოვებულ დამოკიდებულების აღდგენა.

რა პირობებში შეიძლება ამ მიზნის მიღწევა?

რამ შეუშალა ხელი მოქალაქე ს. მ. კიროვის მისიას?

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ხელშემშლელი იყო, როგორც შინაური, ისე გარეშე პირობები.

პირველი და უმთავრესია მათ შორის ხელშეკრულების ზოგიერთ პუნქტების ბუნდოვანი ხასიათი, და წინააღმდეგობანი, რომელნიც შეუძლებელს ხდიან მათ სისწორით განხორციელებას.

მაგრამ თავის-თავათ ამ წინააღმდეგობას და გაუგებრობას ადვილათ მოეღებოდა ბოლო, რომ ასეთივე გაურკვევლობა, კიდევ მეტი—პირდაპირ მძიმე ატმოსფერა არ იყოს შექმნილი ჩვენ ზოგიერთი შინაური და გარეშე მტრებისაგან.

აქ, ადგილობრივ ქართველი კომუნისტები, რომელნიც რუსეთის მილიონების შემყურე არიან და საბჭოთა ნასუფრალით სუქდებიან, ყოველი საშუალებით ცდილობენ თავის-თავი საბჭოთა რუსეთს დიდათ საჭირო პირებათ და დაუღალავ მებრძოლებათ მოაჩვენონ.

ამ მიზნით, მართლა კომუნისტები, და კიდევ უფრო მეტათ მათ წრეში შეფარებული დენიკინელები, ძველი მოხელეები და ავანტიურისტები, ყოველ საშუალებას ხმარობენ, რომ საბჭოთა რუსეთი საქართველოს წაჰკიდონ და მათ შორის სისხლის ღვრისთვის ნიადაგი მოამზადონ. მათი ახლობელი თანამოაზრენი საქართველოს გარშემო მხარეებში, ჩრდილო კავკასიისა და აზერბეიჯანში, აშკარათ საჯაროთ მოუწოდებენ ჯარსა და მცხოვრებთ საქართველოზე ჯვაროსნული ომით წამოსასვლელათ. ეს ატმოსფერა მტრობის და პროვოკაციის, შეიჭრა ბოლოს და ბოლოს თვით, ამ მხარეთა ურთიერთობის საკითხში და მორიგების ყოველი ცდა გააბათილა. აი მთავარი მიზეზი კიროვის მისიის ასეთი უნაყოფობის.

საქართველოს მშრომელ ხალხს მიუხედავათ საბჭოთა სისტემის უარყოფისა და კომუნისტთა დოქტრინის უკუგდებისა, არასოდეს არ ქონია მტრული განწყობილება რუსეთთან და რუსეთის დემოკრატიასთან. მასში გარდა სოლიდარობის გრძნობისა, რომელთაც იგი ხელმძღვანელობს თავის ურთიერთობაში ყველა ქვეყნის დემოკრატიასთან, რუსეთის რევოლიუციურ წრეებთან აერთებს წარსული შეერთებული ბრძოლა და საერთოთ მიღწეული გამარჯვებანი.

ეს ისტორია უკანასკნელი წლების განმავლობაში, მაშინდელ არაოფიციალურ, არალეგალურ რუსეთის და საქართველოს თანამშრომლებისა, არ ამოიშლება ხალხის სულისა და გულიდან.

მაგრამ ეს სიმპატია არ უნდა იქნეს შებღალული დამორჩილებისა და დანგრევის სურვილით, არ უნდა იქნეს ხელოვნურათ მოპობილი დამპყრობელი ტენდენციების გამოჩენით და მით უმეტეს სისხლის საშუალებით.

საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელებმა, განსაკუთრებით ჩვენს მეზობელ მხარეებში ერთხელ და სამუდამოთ უნდა აიღონ ხელი საქართველოს წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკაზე და ფაქტიურათ დაიცვან იურიდიულათ, ხელშეკრულებით აღიარებული დამოუკიდებლობა საქართველოსი.

უნდა ბოლო მოეღოს აგრეთვე საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევას, ადგილობრივი კომუნისტების საშუალებით და რუსეთის ფულებით.

საქართველოს თავის მხრივ არც ქონია და არც აქვს რაიმე აგრესიული განზრახვანი რუსეთის მიმართ.

იგი მტკიცეთ ადგა დღემდე რუსეთის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს, მტკიცეთ დაიცავს მას შემდეგშიაც, იგი წინააღმდეგი იყო ევროპის იმპერიალისტების რუსეთის საქმეებში ხელის ფათურის, მით უმეტეს შეიარაღებული ხელის. იგი აღიარებს იმ უცილებელ დებულებას, რომ ყოველ ქვეყანას აქვს უფლება თვით აირჩიოს თავის მართვა გამგეობის წესი და სისტემა. ამას თხოულობს იგი თავისთვის, ამ გზას მისდევს სხვებისთვისაც. თუ საბჭოთა რუსეთი წრფელათ დაადგა აქ აღნიშნულ პირობების დაცვას—ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამხ. გ. მახარაძის მისია უნაყოფოთ არ ჩაივლის და პოლიტიკური ურთიერთობის საბოლოოთ გამორკვევასთან ერთად ეკონომიურ გაცვლა-გამოცვლასაც ფართე ადგილი მიეცემა.

შინაური საქმეები

V.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება. ბრძანებაში ჩამოთვლილია მთელი რიგი ზომებისა, რომელიც ეხება იმ საკითხებს, რომელთა მოწესრიგება რაც შეიძლება სწრაფათ უნდა მოხდეს.

პირველი მუხლი ბრძანებისა ეხება კანცელიარიაში საქმის წარმოებას. და მართლაც, ჩვენმა კანცელიარიებმა ისეთი ბიუროკრატიული ხასიათი მიიღო, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელი ხდება. კანცელიარშჩინამ შეჭამა ცოცხალი საქმე და მთავრობას და მთხოვნელს შორის გადაულახავ კედლათ აიტუზა. პასუხის მიღება კანცელიარიებიდან იმდენათ გასჭირდა რომ ამისთვის არამც თუ კვირეები იკარგება, სპეციალური პირებიც კი გაჩნდენ, რომლებისათვის კანცელიარიებში სიარული და საჭირო ცნობების მიღება შემოსავლის წყაროთ გადაიქცა.

საკვირველია, როგორ გაჩნდენ ასე უცბათ ასეთი ბიუროკრატები! სულ რაღაც ორიოდე წელია ვარსებობთ და თუ ასე მოკლე ხანში ასეთი ხასიათი მიიღო ჩვენმა კანცელიარიებმა, რაღა უნდა იქნას რამდენიმე წლის შემდეგ?! ყველა კანცელარიებში თითქმის ახალი კაცებია, რომლებიც თითქოს არ იყვნენ აღზრდილნი ძველ კანცელარიებში და როგორ მოხდა რომ ასე მოკლე დროში ძველ ბიუროკრატებსაც კი გადააჭარბეს?! თუ ეს ბიუროკრატიზმი თავშივე არ ჩავკალით, თუ ვერ შევაგნებიეთ ჩვენს მოხელეებს, რომ ისინი მსახურია ხალხის და მთხოვნელების, რომ მათი მოვალეობაა ყოველგვარი საჭირო ცნობები დაუყონებლივ მისცენ მთხოვნელებს, რომ მთხოვნელს აქვს უფლება მოსთხოვოს მას მოვალეობის სწრაფად ასრულება—უეჭველია ჩვენი დაწესებულებანი დაჰკარგვენ ხალხის თვალში ყოველგვარ ნდობას და ეს კი მეტად სახიფათოა თვით რესპუბლიკის, და მისი წყობილებისათვის.

ამასთან არის დაკავშირებული მთხოვნელების მიღება თვით მინისტრების მიერ. ჯერ კიდევ არ არის სათანადოთ განაწესებული მოვალეობანი ცენტრისა და პერიფერიების შორის და თან მოწესრიგებული ზოგი საქმეები. ეს კი იწვევს პროვინციებიდან მრავალი მთხოვნელების მოსვლას თბილისში. ზოგი მინისტრები, მიუხედავათ მრავალი საქმეებისა, მაინც ახერხებენ მათ მიღებას, საჩივრის მოსმენას და სათანადო განკარგულების სწრაფად მოხდენასაც. მარა არის ისეთი სამინისტროებიც, სადაც მთხოვნელს მთელი კვირაობით უხდება ცდა, რადგან მთხოვნელთა მიღება ხდება კვირაში ერთხელ ან ორხელ და თუ ამ დღეს არ მოხერხდა მინისტრის ნახვა მთხოვნელი იძულებულია ან დაიცადოს მეორე კვირამდე ან წავიდეს და თავის საქმე სხვებს მიანდოს. ორივე შემთხვევაში კი მთხოვნელი ისჯება როგორც მატერიალურათ, ისე ზედმეტი დროის დაკარგვით. უმეტეს შემთხვევაში ის ხელში უვარდება სხვადასხვა „ხოდატაებს“, რომელნიც შექმნილ მდგომარეობას თავის ჯიბის გასასქელებლათ მარჯვეთ და მოხერხებულათ იყენებენ. ამ შედეგის მოსპობა შეიძლება მისი გამომწვევი მიზეზის მოსპობით და ეს კი არც ისე ძნელი საქმეა.

საქმის წარმოება, მთხოვნელთა მიღება და მათი თხოვნის დაკმაყოფილების დღევანდელი წესი იმდენათ მიუღებელი და დაუშვებელია, რომ მას წინააღმდეგ ზომების მიღება აუცილებელია და ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება არ დარჩება უშედეგოთ და მისი ცხოვრებაში გატარებით ბოლო მოეღება სრულიად სამართლიან უკმაყოფილებას. განი.



ამხ. სნოუდენი მიტინგზე დამფუძნებელი კრების წინ 15 სექტემბერს.

ევროპის სოციალისტური დელეგაცია საქართველოში

23 სექტემბერი.

ყაზბეგი. 19 სექტემბერს ნაშუადღევს იდარა, მთელი სამხედრო გზა სავსეა ხალხით, მწყემსები უხვდებიან ავტომობილებს და თაიგულებს უძღვნიან. ფასანაურში დელეგაცია პირველის ნახევარზე მივიდა. ბავშები და ქალები ავტომობილებს ყვავილებს ესვრიან. ისმის ვაშა და მარსელიოზა. ხალხის სახელით გიგო ბედოიძემ სალამი უძღვნა სტუმრებს და სთხოვა გადასცენ ევროპის მუშებს, რომ საქართველოს დემოკრატია მუდამ განუყრელათ იქნება ევროპის პროლეტარიატთან.

ამის საპასუხოთ **ვანდერველდემ** სთქვა: მთელი დელეგაციის სახელით უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ვიცოდით, რომ ეს მთები აკვანია საქართველოს თავისუფლების, მარა ჩვენ არ ვიცოდით და ვერ წარმოგვედგინა, თუ წითელი დროშა ფრიალებდა ამ მწვერვალებზე. ჩვენ წავალთ ევროპაში და მიუტანთ ამბებს თქვენ ამხანაგ მუშებს, რომ კავკასიონის ქედზე ფრიალებს წითელი დროშები და საქართველოს მშრომელი ხალხი ამხანაგურ ხელს გიწვდითთქო. დაუსრულებელმა „ვაშამ“ და ტაშის კვრამ დაფარა ვანდერველდეს სიტყვები. ამას მოყვა ბავშების სიმღერები და ცეკვა. შემდეგ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დელეგაცია მიიპატიჟეს სადილათ, სადაც სტუმრებმა ფრანგულათ იმღერეს ინტერნაციონალი ვანდერველდემ ინტერნაციონალის შესრულების შემდეგ სთქვა: „მე აღფრთოვანებული ვარ ქართველების სტუმართ მოყვარეობით. მე ვგრძნობ და ვხედავ, რომ ეს არ არის ერთი რომელიმე კლასი ან პარტია, არამედ—ეს არის მთელი ერი, მთელი ხალხი და მას ვუსურვებთ ჩვენ დღეგრძელობას და ამ მთებში ვუმღერთ ევროპის მუშათა კლასის სიმღერას ინტერნაციონალს. **შოუმ** სთქვა: მე მინდა გამოვხატო ჩემი გრძნობა არა სიტყვებში, არამედ—სიმღერაში, რომელიც ინგლისელისთვის უდიდეს მეგობრობას გამოხატავს, ამ ხალხს ვერ ეტყვი სიტყვებს უფრო ლამაზს, ვიდრე მისი მომხიბლავი ბუნება.

შემდეგ იმღერიან დიდი რევოლიუციის დროინდელ სიმღერას. წავა, წავა. **ხნოუდენმა** სთქვა: მე მინდა მადლობა გადაუხადო იმ ქართველ ქალს რომელმაც ასეთი შვილები აღზარდა და შესძლო ჩვენი ასე შეხვედრა. მწამს, რომ ეს ქალი მომავალში კიდევ უფრო მეტს შესძლებს მუშათა კლასის საკეთილდღეოთ. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ვალიკო ჯუღელმა და ბენია ჩხიკვიშვილმა. სრულ სამ საათზე ხალხის საერთო სიხარულში და ვაშას ძახილში ავტომობილები დაიძრა მლეთისაკენ. უკვე მოიწმინდა, მზემ გამოანათა, გამოჩნდა თოვლიანი მწვერვალი ყაზბეგისა. მთების სილამაზე ათას ფერად გადაიშალა. ყვავილებით მორთული ავტომობილები მიქრიან თვალწარმტაც გზაზე, რომელთაც ყოველ სოფელთან ხვდებიან ცხენოსანი მოხევეები და წითელი დროშებით აცილებენ. კობამდე მისვლაში დაღამდა. ცა მოწმენდილია, მთვარე თოვლიან მთებში მანათობელ კელაპტრათ მიუძღვება მგზავრებს. კობელები გამოფენილან შარაგზაზე და ცხენოსან მედროშეს პირით შემოთვალეს: სტუმარი ხვთისაა, ჩვენ გიცდით და უთუოდ უნდა მობრძანდეთო. მიქრის თეთრ ცხენზე მედროშე ავტომობილების წინ და ამ დღე-ღამის გაყრისას ამას აქვს რაღაც განსაკუთრებული სილამაზე, კობელებს მიესალმა ვანდერველდე, რის შემდეგ სამოცი ცხენოსანის თანხლებით წითელი დროშებით ავტომობილების კორტეჟი დაიძრა ყაზბეგისაკენ. მარა პროცესიას გზაში გადაეღობა სიონი. აქ თავი მოუყრია ნახევარ ხევს, ჩამოსულან მთიდან ორასი ცხენოსანი შეიარაღებული ხევსურები, რომლებმაც ავტომობილების გამოჩენისას იშიშვლეს ხმლები და პატივისცემის ნიშნათ ძირს დახარეს. „გაუმარჯოს“ ხმა- ცამდე ადის სვეტათ და ამას ემატება სამასამდე ცხენოსანის შეწყობილი ფეხის ხმა და გამოდის რაღაც გრანდიოზული სურათი. სიონში ხალხის სახელით სტუმრებს ესალმება გლეხი ანდრია კობაიძე. ის ამბობს: „მეთორმეტე საუკუნიდან ქართველი ერი ალყა შემორტყმული მონგოლთა ურდოებით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევა. ამ მთებში ჩვენი ხალხი ხმალ ამოწვდილი იცავდა თავის თავს და მეგობარს ვერ პოულობდა. ერეკლეს დროიდან კი, როცა დასუსტებული საქართველო უძლური იყო დაეცვა თავი ოსმალთაგან, ორივე თვალით გაყურებდა ევროპას, გაშვერილი ჰქონდა ხელები მეგობრობისა, მარა ის ცაში რჩებოდა, ამან მიგვიყვანა სწორეთ დესპოტიური რუსეთის უღელში შებმამდე. მარა დღეს აღსრულდა ნატვრა, დღეს ჩვენც მთებში ვხედავთ ევროპის საუკეთესო შვილთა წარმომადგენლებს და ამიერიდან

გზა საქართველოსა და ევროპის შორის გახსნილია. ჩვენ ვიბრძოლებთ ამ გზის შესარჩენად საერთაშორისო მუშათა კლასის საკეთილდღეოთ. გაუმარჯოს ჩვენს საერთო წითელ დროშას! გაუმარჯოს ძვირფას სტუმრებს! იელვა მოხევე ხევსურთა ხმლებმა და სიტყვა დაფარა „ვაშამ“. საპასუხო სიტყვას ამბობს ვანდერველდე: „მთის შვილნო! თავისუფალ საქართველოს მოქალაქენო, ჩვენ ევროპიელებს, რომელნიც ვხედავთ ამ მაღალ მწვერვალებზე აფრიალებულ წითელ დროშას, არ გვიკვირს ეს, ვინაიდან თქვენი ბრძოლა თავისუფლებისათვის თავდებია ამ სიმშვენიერის თქვენ მიერ ევროპისკენ გაწვდილ ხელებს მაგრათ კიდებს თავის ხელებს ევროპის მუშები და ამიერიდან ჩვენ კავშირს ვერავინ გასწყვეტს“. საერთო ვაშას და ტაშის კვრაში მიდიან ავტომობილები ყაზბეგისკენ. შუა სოფელში მორთულია არკა წარწერით: სალამი სტუმრებს, გაუმარჯოს ინტერნაციონალს ავტომობილებს და კორტეჟს წინ მიუძღვება ორასი ცხენოსანი, ხოლო ამდენივე მისდევს ავტომობილებს. მიუახლოვდით თუ არა ყაზბეგს ხიდზე დაგვხვდა მორთული არკა ყვავილებით და ნაძვნარებით, ხოლო არკის იქეთ კიდევ შემოგვიერთდა ასამდე ცხენოსანი. თვალწარმტაცი სურათია. ცხენოსანი ლაშქარი, რომელსაც ამშვენებს ხუთი მედროშე, ხოლო მათ წინ მიუძღვება ძველი ხევის თემის წმინდა სამების თეთრი დროშა, აღადგენს მოგონებაში ყაზბეგის დიდებულ გმირებს. თვით ყაზბეგშიც აყრილ ხალხს მოუყრია თავი. ეკლესიის გალავანთან გაჩერდნენ ცხენოსნები და მოვიდა ხალხიც. აქ მხურვალე სიტყვით მიმართა ხალხს **მაკდონალდმა**. მან სხვათა შორის, სთქვა: „მე, თქვენებრ მთების შვილს, შემიძლია გავიგო თქვენი აღტაცება. მე ვხედავდი როგორ მოაფრიალებდით თქვენ წითელ დროშებს, რომელთაც წინ მოუძღოდა წმინდა გიორგის თეთრი დროშა მე თქვენთან ინგლისის მუშების და საერთოდ ევროპის მუშათა სახელით ვტოვებ უდიდეს ცნობას ამხანაგობისას, რომელიც კი შემიძლიან დავტოვო საქართველოს მთებში. ხალხის სახელით ბართლომე ლუდუშაურმა მიმართა სტუმრებს. მან სხვათა შორის სთქვა: „მხოლოდ საერთაშორისო დემოკრატია ჩვენი უანგარო მეგობარი და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის დაგვეხმარება სიტყვით და საქმით შევინარჩუნოთ დამოუკიდებლობა როგორც საუკეთესო პირობა თავისუფალ სოციალურ გარდაქმნისათვის, რომლის მოტრფიალე პიტალო კლდის შვილნი მოხევენიც ვართ“.

საერთო ვაშას და გაუმარჯოს ძახილში ხალხი იშლება ცხრა საათზე, ხოლო მრავალ ფეროვან შთაბეჭდილებებით დაღლილი სტუმრები იძინებენ.

ყაზბეგი. 20 სექტემბერი. დილის 8 საათზე 10 წუთზე დელეგაცია ყაზბეგიდან გაემგზავრა დარიალისაკენ. ყაზბეგის მცხოვრებლები აცილებენ სტუმრებს. მზიანი დღეა, მარა თერგის და თოვლიან მთების სიცივე საგრძნობია. თვალწარმტაცი ბუნება ხიბლავს სტუმრებს. დარიალის ხიდზე ჯარისკაცებს და ადგილობრივ მცხოვრებთ გაუკეთებიათ არკა წარწერით—„ძვირფასს სტუმრებს“. ჩვენი სადარაჯო პოსტებიდან სტუმრები წავიდნენ რუსეთის სადარაჯო პოსტებთან, სადაც დახვდათ ხუთი წითელი არმიელი და საუბრის შემდეგ უკან დაბრუნდნენ. ცეკავშირის კინემატოგრაფიული აპარატი იღებს სურათებს. დარიალის სანახაობამ დელეგაციაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ვანდერველდე, რომელიც საუკეთესო ალპინისტათ ითვლება, მოხიბლულია სანახაობით. დელეგაცია დარიალიდან დაბრუნდა 10 საათზე და 15 წუთზე ყაზბეგში, სადაც დღესაც მოიყარა თავი ხალხმა და მცხეთისკენ აცილებენ სტუმრებს. საერთოდ ხევში დელეგაციის მოგზაურობამ მიიღო ძველი თემის დიდებული დღესასწაულის სახე. მთელი გზა მორთულია არკებით და თაიგულებით. ავტომობილები მოძრავ ყვავილებით აკინძულ თაიგულებს წარმოადგენენ. ერთ საათში დელეგაცია მცხეთისკენ გაემგზავრება.

ყაზბეგიდან დარიალამდე.

20 სექტემბერს, მიუხედავად წინა დღით ცუდი ამინდისა, დღე მზიანია. ჯერ კიდევ მთის მწვერვალიდან არ ამოჭრილიყო მზის პირველი სხივები, რომ დელეგაციის ზოგიერთი წევრები ფეხზე იდგა და ათვალიერებდენ ყაზბეგის მშვენიერ მიდამოებს. ყაზბეგის ირგვლივ კედლებათ აწვდილი მთები ჩრდილავდენ თერგის ნაპირათ გაშენებულ დაბას, ხოლო თვით ყაზბეგის მწვერვალი, მუდამ მოხუცივით რომ აქვს თოვლით თეთრად წახვეული თავი, ელვარებდა მზის პირველი სხივებით და ამაყად დაჰყურებდა ხევს. განსაკუთრებულ ცნობის მოყვარეობას იჩენს ვანდერველდე, რომელიც დილა ადრიან შეუდგა ყაზბეგის დათვალიერებას. სდგას ის ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლთან და გასცქერის მყინვარს, რომლის თავი გამოხატულია ხევის გულის მესაიდუმლის მოჩხუბარების ძეგლში.

რვა საათზე ავტომობილებიც მზად იყო და საერთო აღტაცებაში დელეგაცია გაემგზავრა დარიალისკენ. მზემ ათასფერ საღებავებში გახვია ბუმბერაზი მთები. წინა დღით ძლიერ შთაბეჭდილებებით დამთვრალი თვალი, მაინც წყურვილით გასცქერის ამ იშვიათ სანახაობას. დარიალი ხომ გვირგვინია ხევის პიტალო კლდეების და ამ გვირგვინს ლომიერ ღრიალით მიურბის თერგი, მთის სიგიჟის განხორციელება, და დარიალამდე ნახულს ახვევს საშინელ ხმაურობაში, მთების ისტერიულ კივილში. დარიალის ხიდზე ჩვენს დარაჯებს გაუკეთებიათ არკა წარწერით: „სალამი სტუმრებს, გაუმარჯოს ინტერნაციონალს“.

ჩვენი საზღვრიდან დელეგაციამ ფეხით გაიარა ბოლშევიკების პიკეტებამდე და იქ ესაუბრა ხუთიოდ წითელ არმიელებს, რომელნიც გულდასმით ათვალიერებდნენ სტუმრებს და შეკითხვებზე ჩქარ-ჩქარა აძლევდენ პასუხებს. ცეკავშირის კინემატოგრაფი იღებს სურათებს, აქა იქ იჭერს მომენტებს, როცა დელეგაცია ფეხით თუ ავტომობილებით ათვალიერებს მთების წიაღში გადაშლილ ბუნებას.

დარიალიდან დაბრუნება.

დავბრუნდით. განმეორებით გაიარა დელეგაციის თვალწინ დარიალის სურათებმა. მომხიბლავმა ბუნებამ სტუმრებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით განცვიფრებულია ვანდერველდე, რომელსაც მოუვლია ალპის მთები და როცა ადარებს დარიალს, ამბობს: „ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნახე ასეთი მშვენიერებაო“. ხევმა იშვიათად იცის ასეთი მზიანი დღე, მთა ანჩხლია ბუნებითა და საათობით ცვლის ფერს, მას ხან ნისლი გადაეკვრება, ხან ხოშკაკალა წამოუშობს, ხოლო ხან მოიწმინდება ცა და მთებს იის ფერ აბრეშუმივით გადაეკვრება ლურჯი ცის კაბადონი.

ყაზბეგში დაბრუნებისას წინა დღით მოსულმა ხევსურებმა გამართეს ხმალში შეჯიბრება, რაც კინემატოგრაფმა გადაიღო.

დუშეთში.

12 საათზე ყაზბეგიდან გამოვიდნენ ავტომობილებით სტუმრები და 3 საათზე ფასანაურში დასვენების შემდეგ, საღამოს 5 საათზე დუშეთში იყვნენ, სადაც ეროვნის წინ მოედანზე მოეწყოთ ტრიბუნა და გამართათ მრავალ რიცხოვანი მიტინგი. ს. დ. სამაზრო კომიტეტის სახელით მიესალმა ვ. კალანდარიშვილი. საპასუხოთ პირველად ილაპარაკა ინგლისურად ამხ. სნოუდენმა, მე, ამბობს სნოუდენი, პირველი ვლაპარაკობ ამ ტრიბუნიდან, ვინაიდან ეს დამავალა მთელმა დელეგაციამ და ამის მიზეზია გუშინდელი თქვენი შეხვედრა, როცა დროშებით პირველად მოგვეგება ქალთა ორგანიზაცია. ჩვენ ფრიად გვახარებს ის როლი, რომელსაც თამაშობს ქალები საქართველოში, სამწუხაროდ იქ, ჩვენში, ჯერ ეს არ არის. იქ ინგლისელ ქალს მხოლოდ სხვისი არჩევის უფლება აქვს და თვით კი არ შეიძლება იყვეს არჩეული. თქვენში კი, დედაკაცი გათანასწორებულია მამაკაცთან, ეს არის თავმდები მომავალში ერის და მისი მოწინავე კლასის მუშათა დემოკრატიის განვითარებისა. გუშინ ჩვენ ვნახეთ ხევის ხალხი, იქ პიტალო კლდეებში ფრიალებს წითელი დროშები და ჩვენ ვნახეთ ამ დროშით ხელში მთელი ხალხი, მთელი გლეხკაცობა. ძლიერია ამ ხალხის ნების ყოფა და ვეჭვობთ, რომ რომელიმე ტირანიამ შესძლოს მისი დამარცხება, ის შეებრძოლება ყოველ მის მოწინააღმდეგე ძალას ისევე გააფთრებული, როგორც გუშინ დროშით ხელში გვეგებებოდა აღფრთოვანებული. აქ სთქვეს, რომ ჩვენ, ეხლახან დავბრუნდით რუსეთიდან და როცა ვადარებთ იქაურ და აქაურ ცხოვრებას, უნდა ვსთქვათ, რომ რუსეთში ჩვენ ვნახეთ მხოლოდ შიში; იქ ყველას ერთმანეთის ეშინია, იქ შიშით თვით კომუნისტებიც უფრთხიან ერთმანეთს. ჩვენ წავალთ ბრიტანეთში და იქ თქვენ ამხანაგებს, ინგლისის მუშებს, გადავცემთ, რომ საქართველოს ხალხს ჰყავს თავისი მთავრობა, რომელიც ხალხის ნებაზე მართავს ქვეყანას და არა ისე, როგორც რუსეთის ეხლანდელი მთავრობა, რომელიც ხალხის ხმას ანგარიშს არ უწევს და მთავრობა მხოლოდ მთავრობის აზრს გამოხატავს. ჩვენ ვეტყვით ინგლისის მუშებს, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას გვერდში უდგას მუშათა კლასი, რომ ეს მუშების მთავრობაა და ის აშენებს თავის დამოუკიდებელ თავისუფალ სახელმწიფოს. და ჩვენ იქ ხმას აღვიმაღლებთ, რომ ცნობილ იქნეს საქართველო, რომ ევროპამ ხელი გამოგიწოდოთ თქვენ (ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ ლაპარაკობს ფრანგი დელეგატი **მარკე**. ერთი კვირაა, რაც ჩვენ გეწვიეთ და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ, თუ როგორი გრძნობით და აღტაცებით გვეგებება ხალხი. გუშინ ჩვენ ვიყავით მთებში და იქ ჩვენ გავიგეთ, რომ თქვენში ძლიერი ყოფილა არა მარტო ნაციონალური გრძნობა, არამედ კიდევ უფრო ძლიერი ინტერნაციონალური. და მე მაგონდება ჟორესის სიტყვები, რომელმაც სთქვა: „პატრიოტიზმი არ აშორებს ადამიანს ინტერნაციონალიზმისაგან, ხოლო ინტერნაციონალს კი მიჰყავს ხალხი ჭეშმარიტ პატრიოტიზმისაკენ“. ჩვენ ვნახეთ დღეს თქვენ საზღვარზე კომუნისტებიც, რომლებმაც გვითხრეს, რომ რუსეთში ყველა კომუნისტებიაო, ხოლო შემდეგ დაუმატეს, რომ ისინი მხოლოდ მობილიზაციით გამოწვეული ჯარისკაცები არიან. თქვენში უცხოელი ვერ გაიგონებს ამ ძალდატანებით „გაკომუნისტებაზე“, აქ სოციალისტური აზროვნებით გამსჭვალული ხალხი თვით იცავს თავის ქვეყანას. ამაშია თქვენი სიძლიერე და ამისთვისაც არის, რომ თქვენ გაწვდილ ხელს მაგრათ ჰკიდებს ევროპის მუშათა კლასი თავის ხელს (მხურვალე ტაში).

ტრიბუნაზე ადის **ჰაუსმანსი**, რომლის გამოჩენაზე ხალხი აღტაცებაშია. ის ამბობს: „ორმა რამემ გამაკვირვა მე საქართველოში: ერთი, ეს არის ერთსულოვნება, რომელსაც ყოველი ქართველი იჩენს დამოუკიდებლობის დაცვაში და დემოკრატიული გზით თავის იდეალების განტკიცებაში, მეორე კი, არტისტიული გრძნობა, რომლითაც ღრმად გამოსთქვამთ თავის სიხარულს და გატაცებას. თქვენ უკანასკნელათ განიცადეთ ოსმალეთის შემოსევა და საქართველოს ასეთი საშინელი განცდა ისტორიულად ხომ ბევრი ჰქონია. ჩვენც, ბელგიელებმაც, განვიცადეთ ოთხი შემოსევა, ხოლო ამათგან უკანასკნელი იყო გერმანიის იმპერიალიზმის შემოსევა, რომელმაც გაანადგურა ბელგია. ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ ერთმანეთი. ჩვენ ვიცავდით თავს თავგანწირვით და მიზანს მივაღწიეთ. პატარა ბელგიამ თავი გადაირჩინა. და დღეს, როცა დიდი კაპიტალისტური ქვეყნები საერთო ჭიდილშია, პატარა ერები ისრისებიან ამა თუ იმ ქვეყნის იმპერიალისტთა ქუსლებით. და სანამ არ შეუდგა ყველა ქვეყნები ერთა ლიგაში, სანამ არ განიარაღებულა მთელი ქვეყანა, თქვენ, თავისუფალ საქართველოს შვილებო, მშრალათ შეინახეთ თოფის წამალი საწყობებში, რომ თავი დაიცვათ, თავდამსხმელნი მოიგერიოთ. თქვენი ხელოვნების ნიჭი, რომელმაც კაცობრიობას მისცა რუსთაველი, განა გასაკვირია, როცა ვხედავთ ამ ბუნებას, ამ თვალწარმტაც მიდამოებს? ასეთი ხალხი, რომელსაც აქვს ძალა და ნების ყოფა ბრძოლისა, ხოლო გრძნობა თავის მრავალფეროვან ბუნებისა, არ შეიძლება მოკვდეს. როცა ჩემს თვალ წინ იშლება დემოკრატიის ხელებით შექმნილი სახელმწიფო, მე არ შემიძლია არ მოვიგონო თქვენი ბრძენი ხელმძღვანელები და მით უმეტეს ის ამხანაგები, რომელნიც ეწამენ ამ იდეისათვის და ბრძოლაში დაიხოცენ. და მათ მოგონებაზე მე მაგონდება პოეტის სიტყვები, სადაც ის ასეთ მკვდრებს, ადარებს იმ ორთქლს, რომელსაც მაჰყავს გემი, თვით ორთქლი ქრება, მარა მისი ძალა ამოძრავებს გემს და მიაქანებს ოკეანეს ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირისაკენ. და თქვენი დახოცილი ამხანაგების ენერგიაც ემზგავსება ამ ძალას, ის თქვენ გამოძრავებთ“.

ხანგრძლივმა ტაშმა დაფარა სიტყვა. სტუმრები იჩქარიან ავტომობილებისაკენ, მზე მიეფს ამოეფარა, საღამოს სიომ დაბერა და ზღვა შთაბეჭდილებებით დაღლილი სტუმრები თფილისისაკენ მოქროდენ ავტომობილებით.

მთვარიანი ღამეა. დუშეთის ისარივით სწორი შარა გზა, სარტყელივით რომ ეკვრის საგურამო-წიწამურის და ნატახტარის მიდამოებს, ავტომობილებით აყენებულ მტვრის ბუღით ამცნობდა სოფლებს სტუმრების დაბრუნებას და სოფლელებიც „გაუმარჯოს“ ძახილით ემშვიდობებოდენ მათ.

მცხეთაში.

8 საათზე უკვე მცხეთაში ვიყავით, სადაც დროშებით დიდძალი ხალხი მოგროვილიყო. დუშეთიდან განზრახული იყო პირდაპირ თფილისისაკენ წასვლა, მაგრამ ავტომობილებს გადაეღობა ხალხი და მოითხოვეს სტუმრების ნახვა. მიუხედავათ დაღლილობისა სტუმრები ჩამოვიდნენ ავტომობილებიდან და მოისმინეს ადგილობრივ ორგანიზაციათა მისალმებანი. ბავშვების გუნდმა სტუმრებს თაიგული მიართვა და გადასცეს: „სულით და გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირება“-ო. დელეგაციის სახელით აქ ხალხს მიესალმა **თომას შოუ**, რომელმაც სთქვა: „ჩვენ ვნახეთ თქვენი ლამაზი ქვეყანა და პატიოსანი და მშვენიერი ხალხი და ეხლა უნდა გითხრათ მთელი ევროპის მუშების სახელით, რომ ჩვენ ერთი წადილი გვაქვს, რომ თქვენ არ დაკარგოთ ეს თავისუფლება. ამისთვის ევროპის მუშებმა უნდა მიიღონ ზომები და მოითხოვონ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა და ხალხთა ლიგაში შესვლა. მე მწამს, რომ ასეთი თავისუფალი ხალხი შესძლებს თავისუფლად აღზრდას შვილებისას, რომ, აი ამ ბავშვების ღიმილი იყვეს ამ ლამაზი მთების ღიმილი და თავისუფლებისადმი ტრფიალება კი ისე ძლიერი, როგორც იქ მთის თავისუფალ ხალხს აქვს. მე ვიყავი რუსეთში და არ მინახავს ეს სიხარულის ღიმილი. ის მგლოვიარეა, ვინაიდან ძალდატანებაა ერთი ჯგუფის და ხალხი აკეთებს ძალდატანებით იმას, რაც მთავრობას სურს და არა იმას, რაც თვით ხალხს სურს. აქ კი გყავთ თქვენი მთავრობა, დემოკრატიული პრინციპებით რომ ხელმძღვანელობს ყოველ საქმეში. მე გისურვებთ, რომ კვლავაც მამაცურათ დაგეცვათ თავი და აცდენოდეთ რუსეთის გზას, ჩვენ კი იქ, ევროპაში ავამოძრავებთ მუშებს თქვენს დასახმარებლათ, ჩვენ იქ გადავცემთ მათ, რომ საქართველო არის დემოკრატიზმის გზაზე და მიდის მუშათა კლასის საბოლოო იდეალებისაკენ. ამისათვის ის უნდა იქნეს ცნობილი, ის უნდა შევიდეს ერთა ოჯახში თავისუფალი და დამოუკიდებელი გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გაუმარჯოს ინტერნაციონალს“.

შოუს სიტყვები დაფარა ტაშმა. სტუმრებს ყვავილებს ესვრიან საერთო ოვაციებში და სიხარულში ავტომობილები მოჰქრიან თფილისისაკენ, სადაც ერთი საათის შემდეგ სტუმრებმა მოისვენეს.

ხვალ დილა ადრიან საგანგებო მატარებელი მ დის კახეთისაკენ. ხევს პიტალო კლდეებს შესცვლის კახეთის ნარინჯ-თურინჯი, მუდამ ამწვანებული მთების კალთები.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

22 სექტემბერი.

რუსეთის დეპეშათა სააგ.

(ბოლშევიკური)

რუმინეთის მთავრობის განცხადება.

რუმინეთის მთავრობამ მოკავშირეებს აუწყა: საფრანგეთისა და ინგლისის ძალებთან ერთად ქემალ ფაშას წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენც მივიღებთ მონაწილეობასო.

აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა.

რადეკი „პრავდაში“ სწერს: აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის მუშაობამ მოლოდინს გადააჭარბა. იქ იყვნენ აღმოსავლეთის მილიონ მშრომელთა წარმომადგენლები. მათ ეუწყათ ევროპის მდგომარეობის უმთავრესი ამბები. ყოველ მონაწილეთათვის დაუვიწყარი იქნება ზინოვიევის მოწოდება კაპიტალიზმის წინააღმდეგ საღვთო ომის გამოცხადების შესახებ. ორი ათასი დელეგატი, როგორც ერთი კაცი წამოდგა ფეხზე აშიშვლეს რევოლვერები, ხანჯლები, ხმლები. ფიცს სდებენ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ დამონავებელთა წინააღმდეგ.

სურსათი.

მოსკოვი. სექ. 21. შეერთებული ძალით დავსძლევთ შიმშილობას. ჩვენი ჯარების გამარჯვება და მოპოვებულის დაცვა დამოკიდებულია სასურსათო საქმის გაუმჯობესებაზე. შეგნებული გლეხი პურს თვით მოიტანს. შეუგნებელს უნდა შევაგნებინოთ, რომ მოიტანოს, და მევახშე კი უნდა ვაიძულოთ. მაშინ პური ახალ მოსავლამდე იკმარებს. საჭიროა სურვილი და შეთანხმებული მუშაობა შიმშილობის დასაძლევად.

რუსეთის მისია ჩინეთში.

ვერხნე-უდინსკი. სექტ. 16. რუსეთის მისიის ჩინეთში მისვლა. რუსეთის შორეულ აღმოსავლეთის მისიის თავმჯდომარე პეკინში დიდი სიხარულით მიიღეს. გაზეთები მისიის შესახებ წერილებს ბეჭდავენ, გამოსთქვამენ აღშფოთებას მოკავშირეების მიმართ, რომელთაც უნდოდათ მისია ჩინეთში არ შემოეშვათ. პრესა იმედს გამოსთქვამს, რომ ამ ორ ხალხს შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულება დამყარდება.

ჭირნახულის მომგროვებელი რაზმი.

კალუგა. სექტ. 19. ციმბირში გაიგზავნა ჭირნახულის მომგროვებელი რაზმი, რომელშიაც 3000 კაცი შედის.

სამხედრო ცნობები.

მოსკოვი, სექტ. 22. გროდნოს რაიონში მტერი დიდი ძალებით გადმოვიდა შეტევაზე და ფრონტზე (დამხინჯებულია) 50 ვერსის მანძილზე თავგანწირული ბრძოლები გრძელდება. დაბა სვისლოჩის რაიონში ვოლკოვისკის დასავლეთით ცვალებადი ხასიათის ბრძოლა სწარმოებს. წამოვიყვანეთ ერთი ტყვის მფრქვეველი. მტერმა როვნოს აღმოსავლეთით ტურინთან მორინზე გადმოსვლა სცადა, მაგრამ მოვიგერიეთ. ვოლკოვინსა და გუსიატინის რაიონში ჩვენმა ჯარებმა მდინარე ზბრუჩზე პოზიციები დაიკავა. ყირიმის ფრონტზე ალექსანდროვსკის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობენ მტრის ცხენოსან ჯართან თავგანწირულ ბრძოლას. პოლონეთის შლიახტა კვლავ მოიწევს უკრაინისაკენ. გლეხებო და მუშებო! დაეხმარეთ წითელ ჯარს, რომ მოძალადეები განდევნოს. ვისაც ძალა და ღონე შეგწევთ, აიღეთ ვინტოვკა, დანარჩენებმა დე, სასურსათო ფრონტზე იმუშაონ, რომ შეერთებული ძალით დავამარცხოთ რესპუბლიკის მტრები.

პოლონეთის ფრონტზე.

პოლონელებმა სძლიეს რა ბოლშევიკების წინააღმდეგობას უკანასკნელები სტრიპის იქით მხარეზე გადადენეს და სერეტის სათავისკენ მიიწევენ წინ. მათ დაიჭირეს მთელი რიგი ადგილებისა და აგრეთვე სტოხიდის ნაპირები. კობრინის სექტორში პოლონელები დევნას განაგრძობენ. ბოლშევიკებს ახალი დივიზიები შეჰყავთ ბრძოლებში, მაგრამ უშედეგოთ. ის ადგილები, რომლებიც წითლებმა დაიჭირეს, პოლონელებმა უკვე დაიბრუნეს კონტრ იერიშებით, რომლების დროსაც ბოლშევიკები ძლიერ დამარცხდნენ.

მოსავალი საფრანგეთში.

საფრანგეთის მოსავალი საბოლოოთ გამოირკვა. „ფიგარო“-ს ცნობით მოსავალი 63 მილიონ კვინტალს უდრის. (კვინტალი 100 გირვანქას) ეს რაოდენობა საკმარისია, რომ საფრანგეთის მცხოვრებლებს მიეცეთ პური მეორე მოსავლამდეო.

პრეზიდენტის გადადგომის გარშემო.

გაზეთები განაგრძობენ პრეზიდენტის კრიზისის შესახებ წერას, მილიერანმა მიიღო მრავალი დეპუტატი, რომლებიც სთხოვენ მას დეშანელის ადგილი დაიჭიროს. დეპუტატთა შორის იყვნენ ბრიანი, ბარტუ და სხვა. როგორც სჩანს, პარლამენტის წარმომადგენლებს მილიერანი უთუოდ დაუთმობს. ეჭვს გარეშეა, ხუთშაბათს მილიერანს მრავალი ხმის უმეტესობით აირჩევენ პრეზიდენტათ. ფიქრობენ, რომ ბრიანს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩევენო.

ენვერ-ფაშა.

კოპენჰაგენიდან „პტი პარიზიენს“ დეპეშით აუწყებენ: ენვერ ფაშამ ბერლინში ყოფნის დროს მუსტაფა-ქემალთან გერმანიის მთავარი შტაბიდან ორასი გერმანელი აფიცერის წაყვანის უფლება ითხოვა. მოსკოვში დაბრუნებისას, მან განაცხადა, რომ გერმანიიდან მოკლე ხ ნში 50 აფიცერი მოვაო.

გერმანული ცნობები

გერმანიის ნაციონალისტები.

გერმანიის ნაციონალისტებმა, გერმ. სახალხო პარტიამ და ცენტრმა გუშინ, ბერლინში დოკ. ლევენშტეინის სახალხო განათლების კანდიდატურის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგი მოაწყვეს. ლევენშტეინის კანდიდატურა ორივე სოციალისტურმა პარტიამ წამოაყენა მიტინგები დამოუკიდებელმა სოციალისტებმა ჩაშალეს. გუშინ რამდენიმე ადგილას არეულობა და შეტაკება მოხდა. პოლიცია იძულებული შეიქნა ჩარეულიყო საქმეში. ლევენშტეინის კანდიდატურით გამოწვეული მღელვარება თვალსაჩინოა საშუალო სკოლის მასწავლებლები გაფიცვით იმუქრებიან. მშობლები სოციალისტები არ ემზადებიან ამას ხელი შეუშალონ. გუშინდელ ერთ-ერთ მიტინგზე სოციალისტმა ორატორმა განაცხადა: თუ მასწავლებლები გაფიცვას გამოაცხადებენ, მაშინ პროლეტარიატი პირველათ გამოიყენებს თავის დიქტატურასო. გუშინდელ ინ-

ჟენევის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი

VI სოციალიზმის პოლიტიკური ფორმები.

ჟენევის კონფერენციამდე მომხდარ კონფერენციების გადაწყვეტილებების თანახმად, კონგრესის დღის წესრიგში შეტანილი იყო მთელი რიგი საკითხებისა იმ პოლიტიკურ ფორმების შესახებ, რომლებიც უფრო შეესაბამებიან სოციალიზმის განხორციელების საქმეს.

ეს საკითხები უკვე დიდი ხანია იპყრობენ სოციალისტურ აზროვნების ყურადღებას. მათთან თავის დროზე ძლიერ ახლოს მივიდა ლასალი, იმათ არა ერთხელ ეხებოდა ავგუსტ ბებელი. მათ უძღვნა საინტერესო შრომების მთელი რიგი კარლ კაუცკიმ. იმათ შესახებ ლაპარაკობდა და სწერდა ჟორესი.

მაგრამ უკანასკნელ დრომდე ამ საკითხებს აყენებდნენ მხოლოდ **აკადემიურათ**, მუშათა მოძრაობის პრაქტიკულ მიზნებთან დაუკავშირებლათ. და კარლ კაუცკი, რომელსაც ანალიზს უკეთებდა პროლეტარიატის მოსალოდნელ ტაქტიკას სოციალისტურ გადატრიალების მეორე დღეს,—ამ საკითხს ისევე ეხებოდა, როგორც ეხებოდა ბელლამი ან ბებელი მომავლის საზოგადოების საკითხს. ეს იყო **წინასწარგანჭვრეტის** ცდები, და არა გადაჭრა ცხოვრების მიერ დაყენებულ საკითხისა.

მსოფლიო ომამდის სოციალიზმის პოლიტიკური ფორმების საკითხი სხვანაირათ არც კი ყოფილა დასმული ეს საკმაოთ ხსნის იმ გარემოებას, თუ რატომ აქცევდა ამ საკითხს ასე მცირე ყურადღებას ინტერნაციონალის ძველი კონგრესები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ყოველდღიურ ბრძოლის იმ პრობლემებით, რომლებსაც აყენებდა მუშათა მოძრაობის პრაქტიკა მაგრამ მსოფლიოს ექვსი წლის განმავლობაში დიად შერყევების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა.

რამდენიმე სახელმწიფოში სოციალისტები გარდაიქცნენ ან უშუალოთ მმართველ პარტიათ (როგორც მაგ. გერმანიაში, საქართველოში, ჩეხო-სლოვაკიაში) ანდა პარტიათ, რომელიც იღებს მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში (ბელგიაში, ავსტრიაში, ავსტრალიის რესპუბლიკებში). ინგლისში სოციალისტები ძალა-უფლების მშრომელთა ხელში გადასვლის საკითხს ისე უყურებენ, როგორც თანადროულ საკითხს, რუსეთში მოქმედებს მთავრობა რომელიც თავის თავს მუშა-გლეხთა მთავრობას უწოდებს, და გულწრფელათ თუ პირმოთნეთ—თავის პოლიტიკას—სოციალისტურ იდეალის განხორციელებათ აცხადებს ამ პირობებში, სოციალიზმის პოლიტიკური ფორმების საკითხი—აღარ არის უკვე აკადემიური საკითხი, იგი ღებულობს ახალ სიმწვავეს და სდგება მიმდინარე ბრძოლის დღის წესრიგში.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხს, ჟენევის კონგრესზე ყველა დელეგაცია ერთნაირათ არ უყურებდა: ყველაზე დიდი ინტერესი მისდამი გამოიჩინეს ინგლისელებმა. ისინი მოითხოვდნენ, რომ კონგრესს გამოემუშავებინა მთელი პროგრამა იმ სოციალისტებისათვის რომლებსაც სახელმწიფოს მართვა გამგეობის შესაძლებლობა მიეცათ და რომლებიც ცდილობენ ეს შესაძლებლობა გამოიყენონ სოციალისტურ პროგრამა მაქსიმუმის განსახორციელებლათ. დიდ მნიშვნელობას აძლევდენ აგრეთვე ამ საკითხის შესახებ რეზოლუციის ცალ-ცალკე პუნქტებს გერმანელები და ჰოლლანდიელები. გერმანელებს სურდათ, რომ კონგრესს გამოეყენებინა უკანასკნელ თვეებში მათი სახელმწიფოებრივი გამოცდილება, ჰოლლანდიელებს (კერძოთ, ტროლსტრას) სურდათ სოციალიზმის პოლიტიკურ ფორმების საკითხში შეეტანათ ინტერნაციონალის ტაქტიკაში ახალი იდეები, რომლებიც რამდენიმეთ სინდიკალისტურ ტენდენციით არიან შეფერილნი. დანარჩენი დელეგაციები პოლიტიკურ მნიშვნელობას გამოსამუშავებელ რეზოლუციისას იმაში ხედავდნენ, რომ იმაში რაც შეიძლება ნათლათ გამორკვეულიყო ინტერნაციონალის შეხედულებები დემოკრატიზმისა და დიქტატურის მეთოდებზე.

კონგრესმა პირველად ყოვლისა, სცადა განესაზღვრა, თუ ვინ უნდა იყვეს ძალა-უფლების მატარებელი იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს სოციალისტურ პროგრამა-მაქსიმუმის რეალიზაცია.

ამ საკითხზე უპასუხებს შესავალი კონგრესის მიერ მიღებული რეზოლუციისა: კაპიტალიზმის სისტემის თან და თან უფრო გაძლიერებული გახრწნა, რომელიც უფრო სწრაფი გახდა ომის და ზავის წლებში აუცილებლათ მოითხოვდა, რომ მშრომელთა კლასმა აიღოს ძალა-უფლება თავის ხელთ. „მშრომელ კლასში“ ჩვენი აზრით შედიან არა მარტო დაქირავებული მუშები, რომლებიც ფიზიკურ შრომას მისდევენ, არამედ—გონებრივი შრომის პირებიც, დამოუკიდებული ხელოსნები და გლეხობა, რომელიც თავის ხელებით ამუშავებს მიწას, და საზოგადოთ, ყველა ისინი, ვინც თავის სამუშაო ძალის დახარჯვით მონაწილეობას იღებს ამა თუ იმ ღირებულებათა შექმნაში.

ამრიგათ, ბოლშევიკურ მეთოდს, რომელიც მდგომარეობს მთელი ძალა უფლების (მეურნეობის მნიშვნელობით) პარაზიტულ ჯგუფების ხელთ გადაცემაში (კომუნისტურ კომიტეტებს, საბჭოთა ბიუროკრატიას, სამხედრო „ოპრიჩნას“) კონგრესმა დაუპირდაპირა ფართო დემოკრატიული პრინციპი—ძალა უფლება მშრომელთა.

შემდეგ, კონგრესის რეზოლუციაში არის ორი მუხლი, მათში განსაზღვრულია ის პირობები, რომლებშიაც ძალა-უფლება უნდა გად ვიდეს მშრომელთა კლასის ხელში.

რომ მშრომელთა კლასმა შესძლოს ძალა უფლების თავის ხელში აღება—ამისათვის მეტად არსებითი პირობაა, რომ ამ კლასმა მიაღწიოს ისეთ შეკავშირებას და შეგნებას, რომელიც საკმარისია მის ხელთ მყოფ ძალა-უფლების გამოსაყენებლათ.

„2. კონგრესი უარყოფს ძალდატანებისა და ტერორის მეთოდებს, მაგრამ აღიარებს, რომ გად მჭრელი გამარჯვება არ შეიძლება მიღწეულ იქნეს, თუ არ იყვნენ გამოყენებული მშრომელები, მათი ეკონომიური და აგრეთვე პოლიტიკური ძალა; განსაზღვრულს პირობებში არ შეიძლება უარის თქმა „პირდაპირ მოქმედებაზე“.

მაგრამ კონგრესი საჭიროთ სთვლის სრულიად გადაჭრით გაკიცხოს ზოგიერთების ცდები წარმოებაში გაფიცვების ავტომატიურათ პოლიტიკურ რევოლუციით გადაქცევის.

ამგვარათ, კონგრესმა მშრომელთა კლასების მიერ ძალა უფლების ხელთ აღების წინამძღვართ სცნო მათი შეკავშირება შეგნება, პოლიტიკური სიმწიფე. და ამაშიაც კვლავ დაშორდნენ ერთმანეთს ჟენევისა და მოსკოვის გზები, რადგანაც ბოლშევიკების აზრით ერთად ერთი წინამძღვარი სოციალისტურ გადატრიალების, არის საკმაო რაოდენობა ყუმბარების, ტყვიის მფრქვევების და ზარბაზნების, იმათთვის, მშიერი ჩინელები, რომლებიც ხდებიან ჯარისკაცებად ლუკმა პურის მოსაპოვებლად ქურთ-ყაჩაღების ბანდები, ოსმალო ფანატიკოსები, ქემალ-ფაშის გარშემო შემოკრებილნი, განწირულების გრძნობით აღსავსე უმუშევარნი, ძალდატანებით მობილიზაციაში წაყვანილი გლეხები, კომუნისტურად შეღებილი შავრაზმელები—ყველა ესენი გამოსადეგია მათთვის „კომუნიზმისათვის“ ბრძოლაში,—იმდენად რამდენადაც მათ ხელში უჭირავთ ვინტოვკები, რომლებიც შეიძლება მიიმართოს საბჭოთა მთავრობის მტრების წინააღმდეგ.

სოციალისტურ ინტერნაციონალის აზრით კი, სოციალიზმისაკენ გზას—არაფერი საერთო არა აქვს რა ამგვარ სამხედრო და ყაჩაღურ ავანტიურებთან. მე-3 პუნქტი კონგრესის რეზოლუციისა ახასიათებს სოციალისტების ურთიერთობას დემოკრატიზმის იდეალებთან.

„3. სოციალისტური რესპუბლიკა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მშრომელთა კლასის მიერ სახელმწიფოს ძალა უფლების მოპოვებით. მშრომელთა მიერ დაყენებულ მთავრობის მთავარი მიზანი იქნება დემოკრატიზმისა და სოციალიზაციის საფუძველზე განმტკიცება კანონმდებლობისა და გამგებლობისა.

„სოციალიზმი არ აგებს თავის პოლიტიკურ სისტემას დიქტატურაზე. ის არ ისახავს მიზნათ დემოკრატიულ დაწესებულებების მოსპობას. პირიქით, მისი ისტორიული მიზანია დემოკრატიზმის იდეალების განხორციელება. მუშათა კლასის მუდმივი ღონისძიებანი მისი მოღვაწეობა სინდიკატებში და კოოპერატივებში, ისევ, როგორც მისი პოლიტიკური ბრძოლა,—მიისწრაფიან შექმნან [illegible] ფულებანი, რომლებიც საუკეთესოთ იქნებიან შეგუებულნი თანამედროვე სამრეწველო სახელმწიფოთა მოთხოვნილებებთან და მიაღწევენ უფრო მეტ სრულობას.

„სწორედ პროლეტარიატის ძალები ეხლანდელ დროში წარმოადგენენ დემოკრატიის მთავარ ბურჯს, სოციალისტები არ მისცემენ ნებას აჯანყებულ უმცირესობას ბოროტად ისარგებლონ მდგომარეობით და მოსპონ ხალხის თავისუფლება. საჭიროების დროს დიდ რევოლუციონურ ტრადიციებით აღფრთოვანებულნი, ისინი შესძლებენ დაუზოგველ ბრძოლას ამგვარ განზრახვებთან“.

რეზოლუციის მე-4 ე პუნქტი ეხება სოციალისტურ სახელმწიფოს ორგანიზაციის ფორმებს.

„4. საარჩევნო უფლება სოციალისტურ პარლამენტში უნდა იყოს საყოველთაო და უნდა ვრცელდებოდეს როგორც კაცებზე, ისე ქალებზე. აქ არ უნდა იყვეს დაშვებული არავითარი გამონაკლისი, რომელიც გამოწვეული იქნება ეროვნებით, სარწმუნოებით, სამუშაოთი და ან პოლიტიკური შეხედულებებით.

„პარლამენტის უმაღლესი დანიშნულებაა—ხალხის ყველა სურვილების და მოთხოვნილებების წარმომადგენლობა, ის უნდა იყოს შინაურ და გარეშე თავდაცვის ხელმძღვანელი. იმან უნდა განაგოს საზოგადოებრივი საკუთრების და სახელმწიფოებრივ ფინანსების საკითხები. ის გამოსცემს კანონებს და იქნება სახელმწიფოს საქმეების მმართველი.

„მინისტრები, მართვა გამგეობის ცალ-ცალკე დარგების გამგენი. უნდა აირჩეს პალატის წევრებიდან და მთავრობა იქნება ერთგვარი აღმასრულებელი კომიტეტი პარლამენტისა.

„მაგრამ პარლამენტს შეუძლია გადასცეს გან საკუთრებული რწმუნებანი და [illegible] ვალდებულებანი ყველა [illegible] სხვა ორგანოს, რომელიც წარმოადგენს [illegible] რებთა ცალ-ცალკე ჯგუფებს, იმისთვის, რომ ამ გზით უზრუნველყოს უფრო მეტი ახლობელი მონაწილეობა გამგებლობაში იმ ჯგუფებისა, რომლებიც უშუალოთ საზოგადოებრივ შრომის სხვა და სხვა დარგებში მომუშავენი არიან პარლამენტმა უნდა დაიცვას არა მარტო საერთო ინტერესები ყველა მოქალაქეებისა (რომლებიც წარმოდგენილნი იქნებიან

ციდენტს პრუსიის სეიმში,—რეიხსტაგში განიხილავენ.

უმუშევართა რიცხვი.

ოფიციალური ცნობებით 1 სექტ. უმუშევართა რიცხვი 419,785 კაცს აღწევდა აგვ. 15-ში 411.565.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

22 სექტემბერი.

ესტონეთი და საბჭოთა რუსეთი.

ბერლინი. სექტ. 10. „დეიტშე ალგემაინე ცაიტუნგი" იუწყება: ბოლშევიკები, მიუხედავად ესტლანდიასთან დადებულ ზავისა, მაინც ეწევიან აგიტაციას, რასაც სახელმწიფოს გაჭირვების მდგომარეობის გამო დიდი გასავალი აქვს.

საბჭოთა მთავრობის პროტესტი.

საბჭოთა მთავრობა პროტესტს წარადგენს დუნაის საერთაშორისო კომისიაში რუსეთის წარმომადგენლის მიუწვევლობის გამო.

ამერიკის ჯარი.

ამერიკის მთავრობამ გადასწყვიტა 100,000 კაცით გაადიდოს თავის ჯარი.

რევოლუციონური მოძრაობა მესოპოტამიაში.

მესოპოტამიაში „დეიდშე ალგემენე ცაიტუნგის" ცნობით რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო. სამხედრო ქურთისტანში აჯანყებმა იჩინა თავი. ბაკურში სპარსეთის მიმავალი რკინის გზა აყარეს.

ბალფურის ნოტა ჩიჩერინს.

ლონდონი. 6. სექტ. „დეილი ტელეგრაფი" ჩიჩერინის სახელზე გაგზავნილ საპასუხო ნოტას აქვეყნებს. ნოტაში, რომელიც ბალფურმა კამენევის საშვალებით ჩიჩერინს გაუგზავნა, სხვათა შორის აღნიშნულია ის საზავო პირობები, რომელიც საჭიროა რუსეთმა პოლონეთს წარუდგინოს. ბალფური კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ საბჭოთა რუსეთმა ხელი აიღო თავის მოთხოვნილებაზე მოაწყოს პოლონეთში მუშათა მილიცია, შემდეგ მოყავს რა ადგილები რუსეთის ნოტიდან პოლონეთის პირობების შესახებ, ბალფური სწერს: ჩიჩერინი დიდათ სცდება, თუ ჰგონია, რომ ბრიტანეთის მთავრობას პოლონეთის ჯარის 50.000 კაცამდე შემცირება ოდესმე ზავის სამართლიან პირობათ მიაჩნდა. ბრიტანეთის მთავრობა ამას არ ფიქრობს, იგი ფიქრობს მხოლოდ, რომ რუსეთის ასეთი მოთხოვნილება არ იძლევა საკმაო საბუთს რუსეთ-პოლონეთის საქმეებში ჩარევისათვის, მაგრამ საყურადღებოა შედეგი: საბჭოთა მთავრობას უკვირს ის, რომ ბრიტანეთის მთავრობა იწონებს, რომ პოლონეთს უფლება ეძლევა სამოქალაქო მილიციის სახით შეკრიბოს დამატებითი ძალა. ბალფური ამბობს, რომ ალბათ ჩიჩერინის ეს სიტყვები ხუმრობაა, რომლის ახსნა სასურველი არის. შემდეგ ბალფური კატეგორიულად აცხადებს: ინგლისის ხალხს უნდა თავიდან აიშოროს ბრძოლა საბჭოთა რუსეთთან, მაგრამ დიდი ბრიტანეთი დღენებით დაიცავს პოლონეთის დამოუკიდებლობას. რუსეთი არა ერთხელ გვარწმუნებდა, რომ პოლონეთის დამოუკიდებლობა დაცული იქნება, მაგრამ ახლო წარსულის საბჭოთა ჯარების გამარჯვება წინააღმდეგ ამტკიცებდა. რუსეთმა თავისი რწმუნებით მოატყუა დიდი ბრიტანეთის პარლამენტი და ხალხი ვისთვის და რა საჭირო იყო ეს ტყუილი,—ამის გაგება ადვილია, შეიარაღებული ძალა, თავმოყრილი მცხოვრებთა ერთი კლასიდან არის დაუშვებელი და ძალით მოახვევდა თავს პოლონეთს მისთვის მიუღებელ ძალაუფლებას და მაშასადამე, დაარღვევდა პოლონეთის დამოუკიდებლობას და იქნებოდა მუდმივი საფრთხე ქვეყნის სამოქალაქო წესებისთვის. დასასრულ ბალფური სწერს, რომ ჩიჩერინი შეუდგა რუსეთის და დიდი ბრიტანეთის მუშების ხელფასის შედარებას და ამასთანავე აღნიშნავს, რომ ინგლისელი მუშები გაცილებით ნაკლებს იღებენ ვიდრე რუსეთის მუშები. ბალფური აღნიშნავს, რომ მას სრულიად არ სურს ამ საკითხზე ლაპარაკი, მხოლოდ მისცემს თავის თავს ნებას, აღნიშნოს, რომ საბჭოთა მეთოდი მდიდარსაც კი აღარიბებს. ძნელია ღარიბის გამდიდრება. რუსეთმა დაამტკიცა, რომ ამის მიღწევა მას არ შეუძლია.

ყირიმის ფრონტზე.

სევასტოპოლი. (რადიო) 18 სექტ. ჩვენ დაიჭირეთ სადგური პოლოგი. ჩვენ დავლე 1200 ტყვე და 15 ტყვიისმფრქვეველი, 11 ზარბაზანი, 3 ჯავშნიანი მატარებელი და მრავალი საინჟინერო ქონება. ჩვენ დავიჭირეთ გულიაი პოლე, ორეხოვო და მდინარის ხაზი. (გამოტოვებულია) წითლების დევნა დასავლეთით და ჩრდილოეთით გრძელდება. დნეპრზე მზვერავები მოქმედებენ.

რუსეთი და სომხეთი

ერევანი. 22 სექტემბერს რუსეთის საბჭოთა ჯარი მოულოდნელათ შეტევაზე გადმოვიდა აქსიბართან და დაიკავა სომხეთის უდავო ტერიტორიის ერთი ნაწილი. სექტემბრის 21, სომხეთის ჯარი შეებრძოლა საბჭოთა ჯარს და წაართვა სოფლები აქსიბარი, ბოგაშის-აირუმი და კუჩი-აირუმი. მტერი თარალ-მარზალის ხაზზე გამაგრდა. სომხეთის მთავრობამ ამის გამო საბჭოთა რუსეთს პროტესტი განუცხადა.

— ოლთის მიმართულებით სომხეთისა და ოსმალეთის რაზმებს შორის ბრძოლა გრძელდება. სომხეთის რაზმმა კვლავ დაიკავა ქვანახშირის მაღაროები. (დს.)

ახალი ამბები

ბრძოლა სპეკულიაციასთან. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს: 1) ს. ცარნა, 2) კ. იტინი, 3) მ. მაიზელსონი, 4) ი. შპრეპტინი, 5) ზ. სიმონიანცი, 6) მ. სიმონიანცი, 7) ნ. კალამკაროვი, 8) გ. ხერხეულიძე, 9) ა. კაზანოვიჩი, 10) ს. ლანდაუ, 11) ივ. კორსუნსკი, 12) მ. ლონტი, 13) ს. ბორჩიკოვი, 14) ს. არზუმანოვი, 15) ბ. იოფე, 16) ლ. იოფე, 17) მ. იოფე, 18) კარახანიდი, 19) მ. გერმანოვიჩი, და 20) მანდელშტამი, რომელნიც ყიდულობდენ და ყიდდენ რუსეთის და ევროპის ვალიუტას და მასზე საშინელ სპეკულიაციას ეწეოდენ, რითაც ისინი სცემდენ ჩვენი ფულის კურს და ქმნიდენ ფინანსიურ კრიზისს.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულიარი.** ყველა სამაზრო ერობების გამგეობებს, ქალაქების თვითმართველობებს და აფხაზეთის კომისარიატს. კანცელარია, თანახმად გენერალურ შტაბის მიმდინარე წლის 10 სექტემბრის № 3699 მომ. 14661 თარიღით მომართვისა, ვატყობინებთ სახელმძღვანელოდ მოქალაქეთათვის გამოსაცხადებლად, რომ ყოველი ახალ გაწვეული მორიგი გაწვევის დროს უნდა გამოცხადდეს იმ სამხედრო აღრიცხვის ნაწილში, სადაც ის შეტანილია გასაწვევ სიაში. მხოლოდ თუ რომელიმე ახალ გაწვეული მორიგი გაწვევის დროს მოისურვებს გამოცხადებას არა იმ სამხედრო ნაწილის უფროსს, სადაც ის შეტანილია გაწვევ სიებში, არამედ დროებითი საცხოვრებელ ადგილის მიხედვით, ამ შემთხვევაში ახლ გაწვეულმა უნდა წარუდგინოს იმ სამხედრო ნაწილის უფროსს, რომელსაც მას სურს გამოეცხადოს, ამონაწერი გაწვევ სიებიდან არა უგვიანეს 1 ნოემბრისა და მორიგი გაწვევის დროს სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსს უნდა წარუდგინოს პირადობითი მოწმობა თავისი სურვილით.

◆ **სასურსათო განყოფილებაში.** ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება აცხადებს, რომ შაბათს, სექტემბრის 25-ს, დილის 10 საათ. № 1 საწყობში ვერის მოედანზე ქვანახშირის ფხვნილზე საჯარო ვაჭრობა შესდგება. ქვანახშირის შეძენის მსურველთ შეუძლიათ გამოცხადდენ საჯარო ვაჭრობის დაწყებამდის.

◆ **აგრარული რეფორმა.** მიწად მოქმედების მინისტრის განსაკუთრებულმა რწმუნებულმა ხელაძემ წარმოადგინა მოხსენება დასავლეთ საქართველოში აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში გატარების შესახებ. მოხსენებაში ხელაძე აღნიშნავს, რომ მიწად მოქმედების სამინისტროს დავალებით მან მოახდინა რევიზია ერობათა საადგილმამულო განყოფილების მოქმედების გამოსარკვევად იმ მიზნით, რომ ადგილობრივ გაეცნობოდა თუ როგორ გატარდა ცხოვრებაში აგრარული რეფორმა. ხელაძემ რევიზია მოახდინა. რაჭის, შორაპნის, სენაკის, ზუგდიდის, და ქუთაისის მაზრებში. მოხსენებაში ხელაძე აღნიშნავს მიწის მზომელებზე კონტროლის დანიშვნის საჭიროებას, რათა რეფორმის ცხოვრებაში გატარება დაჩქარებულ იქმნას.

◆ **რკინის გზაზე.** რკინის გზის საკომერციო განყოფილებამ შეადგინა უწყება საჩივრების საქმეთა წარმოებისა. აგვისტოში 22 საჩივარი იქმნა აღძრული 274,116 მან. შესახებ. გარჩეულ იქმნა 36 საქმე 991,149 მან. სექტემბრის 1 დარჩა გაურჩეველი 74 საქმე—1,516,168 მან. შესახებ.

◆ **ცენტრო-ბანკის გამგეობამ** დაადგინა თავის კლიენტებისა და კორესპონდენტების საჭიროებისათვის მოაწყოს საინფორმაციო განყოფილება, რომლის მიზანიც იქნება: 1) ყოველდღიური ცნობების მოწოდება ვალიუტისა და ბაზრის ფასების შესახებ, 2) ბაზარზე დამზადებულ საქონლის რაოდენობის გამორკვევა, 3) სტატისტიკური ცნობების შეკრება საექსპორტო და საიმპორტო საქონლის შესახებ, 4) უცხოეთის ბაზრების შესწავლა, 5) საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობის შესწავლა. გამგეობა აპირებს საინფორმაციო განყოფილების მუშაობაში მონაწილეობა მიაღებინოს ბათომის და სტამბოლის განყოფილებებს და აგრეთვე მარსელის და ლონდონის თავის აგენტებს.

◆ **სასურსათო განყოფილებაში.** სასურსათო განყოფილება იუწყება, რომ მან შეიძინა ბათომში ათი ვაგონი ყვითელი შაქრის ფხვნილი.

◆ **საერთო სავადმყოფო კასის** გამგეობა იწვევს ყველა მონაწილეთ და მათ ოჯახობის წევრებს უფასო ლექციაზე ხოლერის შესახებ ხუთშაბათს 23 ამა თვეს, საღამოს 6 საათზე მუშათა კლუბის შენობაში (პლეხანოვის პროსპექტი 123) ლექციის დროს ნაჩვენები იქნება დიაგრამები. ლექტორი—ექიმი რატნერი. გამგეობა სთხოვს ყველა მონაწილეებს აუცილებლად დაესწრნენ.

◆ **ქალაქ თფილისის გარე-უბნის თემის გამგეობა** დღეს, 23 სექტემბერს, იწვევს თემის ხმოსანთა საგანგებო კრებას გამგეობის ბინაზე (მიხეილის პროსპექტი № 171) დილის 10 საათზე. ვინაიდან ეს კრება მოწვეულია მეორედ, ამისათვის უსათუოდ შესდგება რამდენიც არ უნდა დაესწრონ ხმოსნები.

◆ **დიდუბეში გაიხსნა** უმაღლეს-დაწყებითი ქალაქის სასწავლებელი. თხოვნები მიიღება ყოველ დღე 1-სა და 2 კლასში 12 საათიდან 3 საათამდე. კოოპერაციის ქუჩა, ბეროზაშვილის ყოფილ გიმნაზიის შენობა.

◆ **„ეშმაკის მათრახი".** შაბათს, ენკენისთვის 25 ს, გამოვა „ეშმაკის მათრახის" მორიგი **სადელეგაციო** ნომერი. შინაარსი: 1) მისალმება; 2) დელეგატები; 3) დელეგაცია საქართველოში: ა) გემზე; ბ) ბათომში; გ) თფილისისაკენ; დ) თფილისის სადგურზე; ე) სადგურის სასტუმრო ოთახში; ვ) დამფუძნებელ კრებაში; ზ) სახალხო სახლში; 4) შეჯანჯალებულის ლექსები; 5) ინტერვიუ ტომ შოუსთან; 6) კაუცკი და ვანდერველდე—ტოტომიანცისა. სტუმრების სურათები, შარჟები და კარიკატურები. ფასი მხოლოდ 50 მანეთი.

◆ **გაზეთ „საქართველოს"** რედაქცია გვთხოვს გამოაცხადოთ შემდეგი: „ორშაბათს დილის 9 საათზე გაზეთის ასოთ ამწყობთა უმეტესობა დანარჩენ ამხანაგებისათვის ერთბაშად განუცხადებია, რომ საუზმის საჭმელად მიდიოდნენ და წასულან კიდეცა. ნაშუადღევის 2 საათზე არც ერთი მათგანი თავის მოვალეობას არ დაბრუნებია. რადგან მეტი ცდა უნაყოფო იყო, ხოლო ასოთ-ამწყობთა დარჩენილი რიცხვი არ კმაროდა, რომ ნომერი წესიერად აეწყობინათ, რედაქციამ 2 საათზე თავისი სტამბა დაკეტა. ამ გაუთვალისწინებელ საბოტაჟის გამო, რომელსაც მარტო მის ჩამდენთა სრული უპასუხისმგებლობა და თვითნებობა უძევს საფუძვლად, რედაქცია მოკლებულია ტეხნიკურ საშუალებას თავის მკითხველებს მიაწოდოს გაზეთის მორიგი ნომერი. მიღებულია ყოველგვარი ზომები საქმის მოსაგვარებლად".

◆ **ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვა.** ფინანსთა სამინისტროს საბაჟო ნაწილის უფროსმა ვ. მიქაძემ ყველა თავის ხელქვეით დაწესებულებებს აცნობა, რომ მთავრობის დადგენილება ფუფუნების საგნების უცხოეთიდან შემოტანის აკრძალვის შესახებ სექტემბრის 4 ძალაში შევიდა.

◆ **მადლობა სახელმწიფო თეატრს.** ევროპის სოც. დელეგაციის სახელით ემილ ვანდერველდეს სახელმწიფო თეატრის კომისარს მთელი დელეგაციის სახელით სთხოვა გადასცეს თეატრის მსახიობებს გულწრფელი მადლობა იმ სიამოვნების გამო, რომელიც მათ „აბესალომ და ეთერის" დადგმით მიიღეს. ემილ ვანდერველდეს და დელეგაციის სხვა წევრთა აზრით ეს დადგმა ევროპის საუკეთესო სცენას შეეფერება.

◆ **მცხეთის ნავთსადგურის სადგურზე.** 23 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე დანიშნულია პარტიული კრება ქსნის და კასპის პარტიული წევრებისა. მოხსენებას გააკეთებს ამხ. გრ. ცინცაძე. ყველა წევრები ვალდებულია დაესწრონ სხდომას.

კრებები

დღეს, 23 სექტემბერს საღამოს 6 ს. კოლექტივის ბინაზე დანიშნულია ს. ს.-დ. მ. პ. მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— მეორე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა შესდგება დღეს სრულ 6 საათზე რაიონის ბიუროს ბინაზე.

— დღეს 23 სექტემბერს შესდგება ს. ს. დ. მ. პ 3 მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა, (კახეთის ქ. № 1).

— დღეს, საღ. 6 საათზე, დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს, საღ. 7 საათზე, დანიშნულია ვერის გამრთობ ს-ბის გამგეობის სასწრაფო სხდომა.

პროვინციის ქრონიკა.

სამტრედია. კვირას 26 სექტემბერს ქ. სამტრედიის რკ. გზის მუშათა კლუბში გაიმართება საღამო-სეირნობა, რაიონული ს. დ. კომიტეტის სასარგებლოდ. პარტიის წევრებს მომწყობი კომისია სთხოვს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა საღამოში.

სამტრედია. ბაზარზე უკვე შემოდის ცოტ ცოტა ახალი სიმინდი, რომელმაც საგრძნობლათ დასცა საზღაპროთ აწეული ფასები. ეხლა სიმინდი ფასობს ფუთი 1000 მანეთი.

მთავრობის თავმჯდომარისაგან

ცირკულიარი.

მინისტრებს, მათ ამხანაგებს, ერობათა და ქალაქთა გამგეობებს და მათი კავშირების კომიტეტებს და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს.

მრავალმა საჩივრებმა და პირადმა დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში საქმის წარმოება ვერ მიმდინარეობს სასურველი სისწრაფით და წესებით.

საქმის წარმოების გასაუმჯობესებლათ და ხარჯების შესამცირებლად ვბრძანებ:

1) სახელმწიფო, საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ერობებისა და ქალაქების თვითმართველობებში მინიმუმამდე შემცირდეს მოსამსახურეთა შტატები.

შენიშვნა: დღიდან ამ ცირკულიარის გამოქვეყნებისა ქალაქთა და ერობათა თვითმართველობათ შტატების შესამცირებლად ეძლევათ ერთი თვის ვადა, რის შემდეგ, თუ ჩემი ბრძანება ამ ხნის განმავლობაში სისრულეში არ იქნა მოყვანილი, შტატების შემცირებას მოახდენს ამ საქმისათვის ჩემ მიერ დანიშნული განსაკუთრებული კომისია.

2) უწყებათა უფროსებმა მიიღონ ზომები, რათა მათდამი რწმუნებულ დაწესებულებათა მოსამსახურენი თავის დროზე ცხადდებოდენ სამსახურში.

3) მიღებულ იქნას ზომები მინისტრების, მათი ამხანაგების და უწყებათა სხვა უფროსების მთხოვნელთა მიერ ნახვის გასაადვილებლად.

4) ყოველგვარი შუამდგომლობა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებისა ან კერძო პირისთვის დროზე იქნას განხილული და პასუხი დაუგვიანებლივ მიცემული.

5) ჩემს მიმართვაზე ან ბრძანებებზე პასუხი მომცეს დაუყონებლივ.

6) სასტიკად აიკრძალოს ერთი თანამდებობიდან რაიმე დანაშაულობისთვის დათხოვნილ პირს მეორე თანამდებობაზე მიღება.

7) ქალაქებისა და ერობების თვითმართველობათა მიერ არ იქნას დაწყებული არავითარი ახალი საწარმოვო საქმე ჩემი ნება დაურთველად.

13 სექტემბერი, 1920 წ., № 20.

მთავრობის თავმჯდომარე **ნოე ჟორდანია.** მთავრობის საქმეთა მმართველი **კ. ჯაფარიძე.** („საქ. რეს." № 208)

სატარიფო პალატაში

სატარიფო პალატამ სექტემბრის 13 სხდომაზე განიხილა შემდეგი საკითხები: 1) ტრამვაის დირექციის პროტესტი, აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ პალატამ სამართლიანათ სცნო პრეზიდიუმის განმარტება. ამასთანავე 8 საათზე მეტის მუშაობაში ზედმეტი ჯილდოს მიცემის საკითხი ცალკე იქნება განხილული. 2) ჭიათურის მაღაროში მომუშავეთა და დამტვირთველთა ტარიფი. ეს საკითხი განხილულ იქნა იმიტომ, რომ ჯილდო მუშების მიერ მცირეთ იქნა ცნობილი. მრეწველების მიერ კი ძლიერ დიდათ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა შრომის კომისარმა ელბაქიძემ. საკითხის განხილვის შემდეგ სატარიფო პალატამ მიიღო შრომის კომისრის ელბაქიძის პროექტი ბაქანთა 4 კატეგორიათ დაყოფის შესახებ და ამის მიხედვით ფასის გადახდა 1 მ. 20 კაპ. 1 მან. 40 კაპ. 1 მან. 60 კაპ. და 1 მ. 80 კ. ფუთ მარგანეცზე. მე-4 კატეგორია დროებით გამოყოფილ იქნება იმავ აუცილებელ პირობით, რომ მოკლე ხანში მისი ლიკვიდაცია მოხდეს. შემდეგ დაადგინეს გაადიდონ ჭიათურის მაღაროების მომუშავეთა ხელფასი ისე, რომ მუშა, რომელიც იღებდა 250 მან. მიიღებს 325 მან. და სხვა. ტარიფის დაწვრილებითი შემუშავება პალატის პრეზიდიუმს მიენდო. შემდეგ განიხილეს: 1) ფოთის დამტვირთავთა, 2) სამკურნალო დაწესებულებებში მუშათა და მოსამსახურეთათვის გადარჩენილ თანხის და მომარაგების ფონდიდან სურსათის მაგიერ ფულის მიცემის საკითხი. (დს.)

უცხოეთი

ომის წინააღმდეგ.

აგვისტოს მეორე ნახევარში პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო ბიურომ გამოუშვა მოწოდება მთელი ქვეყნის მუშებისადმი, სადაც მოითხოვენ, რომ მსოფლიო პროლეტარიატმა გამოსთქვას თავისი აზრი ყოველი ომის შესახებ. მთელი ქვეყნის მუშათა კლასი ამიერიდან მომზადებული უნდა შეხვდეს ომს და შეებრძოლოს მას თანახმად ბერნის და ამსტერდამის პროფესიონალური კავშირების რეზოლიუციებისა. მუშათა კლასმა ყოველივე ზომებს უნდა მიმართოს, რომ აცდენილ იქნას ომები და დამყარდეს ხალხთა შორის მტკიცე ზავი და მშვიდობიანობა. უნდა შეიქნას ისეთი პირობები, რომ ომი აღარ განმეორდეს პროფესიონალური ინტერნაციონალი აღიარებს რა ხალხთა უფლებას განაგოს თავისი თავი დამოუკიდებლათ ჰკიცხავს ყოველივე უცხო ძალის ჩარევას არა თუ იმ ქვეყნის შინაურ საქმეებში და მოუწოდებს მუშებს მიიღონ ამ მხრივ ყოველგვარი ზომები, რათა დაცულ იქნას ხალხთა უფლებები. გამოდის რა ამ პრინციპიდან აღნიშნავს, რომ რუსეთის რევოლიუციის თავს დაესხა პოლონეთი. საერთაშორისო პროფესიონალური კავშირი მოითხოვს დაუყონებლივ შესწყდეს ყოველივე კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა რუსეთის წინააღმდეგ და მიეცეს რუსეთის ხალხს გარანტია, რომ მომავალში მაინც უზრუნველყოფილ იყოს იგი თავდასხმისაგან.

იღებს რა მხედველობაში რუსეთის განცხადებას, რომ უკანასკნელი სცნობს პოლონეთის დამოუკიდებლობას და მზად არის შეჰკრას მას ზავით, საერთაშორისო პროფესიონალური კავშირი აცხადებს, რომ რუსეთის განცხადება საფუძვლად უნდა დაედვას მომავალ ზავს და მით მოისპოს ამ ორ მოძმეთა შორის სისხლის ღვრა. საერთაშორისო მშვიდობიანობა დაუყონებლივ უნდა დამყარდეს და მას საფუძვლათ უნდა დაედვას რევოლიუციონური მონაპოვართა შენარჩუნება და ერთა დამოუკიდებლობის პრინციპი. გვსურს რა მივაღწიოთ ამ პროლეტარულ და ჰუმანიურ მიზანს საერთაშორისო პროფესიონალურ კავშირები, მოუწოდებს ყველა პროფესიონალურ კავშირებში გაერთიანებულ მუშებს, არ დაეხმარონ კაპიტალისტებს იმპერიალისტური მიზნების განხორციელებაში და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ მათ, რომ არ იქნას იარაღი გადატანილი და არც ჯარების გადაყვანა გადმოყვანას შეუწყონ ხელი. მუშების შეგნებულმა ბრძოლამ, კაცობრიობის ინტერესებისათვის გაწეულმა, უნდა დაანგრიოს რეაქციონური სამღვთო კავშირი, რომლის აღდგენასაც ლამობენ. არც ერთი მატარებელი იარაღით დატვირთული არ უნდა ამუშავდეს, არც ერთი გემი იარაღით დატვირთული არ უნდა იყოს ზღვაში, არც ერთი ჯარისკაცი არ უნდა იქნას გამგზავრებული. უნდა შეჩერდეს ყოველივე, რაც კი კავშირშია ომსა. საერთაშორისო პროფესიონალური კავშირი აცხადებს, რომ ამგვარი ბრძოლა უნდა აწარმოვოს მთელი ქვეყნის პროლეტარიატმა. საერთაშორისო პროფესიონალური კავშირი დაინტერესებული არის, რომ დაცულ იქნას პროლეტარიატის ინტერესები და უზრუნველყოფილ იქნას სოციალური პროგრესი და დარწმუნებული არის რა იმაში, რომ ომები მოისპობა მხოლოდ მუშათა კლასის მეოხებით, მოუწოდებს ყველა ქვეყნების პროფესიონალურ კავშირებს მოემზადონ ომის საწინააღმდეგოთ გამოსვლებისათვის, თუ საჭირო იქნება, უნდა მოეწყოს მასიური გამოსვლები, საერთო გაფიცვების სახით. პროფესიონალური ინტერნაციონალი ურჩევს დაიწყოს აგრეთვე ბრძოლა, რათა ყველა ქვეყნებში შესწყდეს სამხედრო მასალების დამზადება და განხორციელდეს საერთაშორისო განიარაღება, რომელიც გაანთავისუფლებს ხალხს ყოველგვარ მილიტარიზმისაგან და ხელს შეუწყობს საწარმოვო ძალების განვითარებას.

ამხანაგებო! 1914 წელს ჩვენი ორგანიზაცია იყო ძლიერ სუსტი და მან ვერ შესძლო ომის თავიდან აცდენა. ამ ჟამად პროფესიონალური ინტერნაციონალი აკავშირებს 27 მილიონ სულს, რომლებიც განწყობილი არიან უფრო ანტი-კაპიტალისტურათ და ანტი-მილიტარისტულათ, ვიდრე წინათ და უფრო მეტად არიან გაწყობილი სოციალისტურათ. ამ კავშირს შესწევს ძალა, რომ აიცდინოს ქვეყანას ომის საშინელების განმეორება. ომი ომის წინააღმდეგ—აი ლოზუნგი, რომლის გარშემო უნდა შემოკრბეს მთელი ქვეყნის მუშათა კლასი. უარისყოფა ყოველივე სამხედრო ძალის გადატანაზე,—აი რა უნდა იყოს დამახასიათებელი პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის.

ამხანაგებო! საერთაშორისო პროფესიონალური კავშირი თქვენზე ამყარებს იმედებს.

თავმჯდომარე **არრლეტანი**, თავმჯდომარის პირველი ამხანაგი ჟუო, მეორე ამხანაგი—**მერტენსი**, მდივნები: **ფიმმენი, უდეგტი.**

შრომის სამინისტროში

შრომის სამინისტრო აცხადებს: თანახმად დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ დეკრეტის მეორე მუხლისა დასახიჩრებულ მუშათა და მოსამსახურეთა პენსიის შეცვლის შესახებ, მუშებსა და მოსამსახურეებზე პროფესიის და თანამდებობის მიხედვით შემდეგი დღიური ხელფასი წესდება: ფარმაცევტი—275 მ., არტელჩიკი—300 მ., ბუჰალტერი—335 მ., მწონელი—230 მ., მტვირთავი—350 მ., გზის მოხელე—250 მ., მოლარე—280 მ., კონდუქტორი—250 მ., კონტორჩიკი—245 მ., მჭედელი—265 მ., მექანიკი—295 მ., ასოთ-ამწყობი—275 მ., ამკინძველი—265 მ., მბეჭდავი—275 მ., მცხობელი მუშა—250 მ., ნოქარი—225 მ., პროვიზორი—305 მ., ზეინკალი—255 მ., დურგალი—250 მ., დარაჯები და მეეზოვეები—205 მ., ფოტოგრაფი—260 მ., ტელეგრაფისტი—240 მ., და სხვა. შრომის სამინისტრო აღნიშნავს, რომ თუ შრომის ხელფასი რომელიმე პროფესიისა ან თანამდებობისათვის უზრუნველყოფილი არ არის, მაშინ საჭირო განმარტებისათვის უნდა მიმართონ შრომის სამინისტროს. დასახიჩრებულ მუშა-მოსამსახურეთ პენსია ყოველ დღიურ შემოსავლის კვალობაზე ენიშნებათ. უმაღლესი შრომის ხელფასი რომლის ზევითაც არ შეიძლება პენსია დაენიშნოთ არის 600 მანეთი.

დეპუტატი აკ. ჩხენკელი არტაანისა და ბათომის მხარეში.

ს. დ. ფრაქციისა და სამხედრო კომისიის თავმჯდომარემ დეპ. ჩხენკელმა გენერალ ზაქარიაძესთან ერთად დაიარა არტაანისა და ბათომის მხარენი. მოგზაურობამ გასტანა 11 დღე, 5 დან 15 სექტემბრამდე და ერთობ მდიდარი იყო იგი ნანახითა და გაგონილით.

პირველათ დეპუტატმა ინახულა ფოცხოვის რაიონი წინეთ არტაანის და დღეს კი ახალციხის მაზრისა. იქიდან მან გადაიარა ხანიორის უღელტეხილი, სწორეთ იმ გზით, რომლითაც გადალახა იგი ამ ზამთარს მამაცმა მე-9-რე ასპინძის ათასეულმა. ხანიორიდან დეპუტატმა გაიარა არტაანის ოლქი სომხეთ-საქართველოს სადაო საზღვრების ხაზით და ეწვია თვით არტაანს. აქედან მან გადაიარა იალანუსჩამის უღელ-ტეხილი და ინახულა არდანუჯი და ართვინი. ართვინიდან დეპუტატი მდინარე ჭოროხით (ნავით) ჩავიდა ბორჩხაში და იქიდან ხმელეთით მურღულში. მურღულიდან მარადიდ-აჭარის წყალი—ქედახულის გზით დეპუტატმა გადაიარა გოდერძის უღელტეხილი და ჩამოვიდა აბასთუმანში.

მთელი გზა დეპუტატს ეგებებოდნენ: თურქნი, თურქმენები, ქურთნი, ბერძნები, სომხები, მალაკნები, მაჰმადიანი ქართველები, სომხეთიდან გადმოხვეწილი მაჰმადიანები. ქრისტიანებს წინ მიუძღოდნენ შემოსილი მღვდლები, მაჰმადიანებს მოლები და ხოჯები, რომელნიც ლოცვითა და პურმარილით ეგებებოდნენ დეპუტატს. მაღალ მთების იალაღებზედაც, სადაც მრავალია ხალხი, განსაკუთრებით მაჰმადიანები, იგივე მეორდებოდა. მოკლე მისალმების შემდეგ ყოველ ადგილას იმართებოდა მიტინგი და დეპუტატი უხსნიდა ხალხს მდაბიოთ დღევანდელ მომენტს, რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მიტინგის შემდეგ დეპუტატი ისმენდა მსურველთ, იწერდა მათ ნათქვამს, აძლევდა საჭირო რჩევებს იქვე დასწრე კომისრებს, ჰპირდებოდა მთხოვნელთ დახმარებას დამფუძნებელ კრების და მთავრობის სახელით. დეპუტატს მისცეს მრავალი დაწერილი თხოვნებიც და მან დაპირდა მათი სათანადო მინისტრებზე გადაცემას.

არტაანის და ბათომის მხარეთა მცხოვრებლებმა დიდი გაჭირვება დარბევა, გაძარცვა, აწიოკება და ყლეტა განიცადეს ამ ექვსი წლის განმავლობაში. 1914 წლიდან ეს ტერიტორია სამხედრო და პარტიზანულ მოქმედების ასპარეზი იყო, განადგურდენ როგორც ქრისტიანები, ისე განსაკუთრებით მაჰმადიანები, არა ერთხელ მოუხდათ მათ გაქცევა და დაბრუნება. ბევრი დღესაც განიცდის სურსათის ნაკლებობას, ზოგან შიმშილიც კი არის, ბევრს კიდევ სახლ კარი დამწვარი და განადგურებული აქვთ არა ჰყავთ მუშა საქონელი, თითქმის ყველანი ტიტველ-შიშველი არიან მეჩეთები დანგრეულია, საამშენებლო ხე-ტყეს ხშირად ვერ შოულობენ, არა აქვთ მიწის დასამუშავებელი იარაღები, მიწა-ადგილების და საძოვრების სარგებლობა არ არის მოწესრიგებული. ერთი სიტყვით, გაჭირვება ყველგან დიდია, ხოლო დახმარება ჯერ-ჯერობით ძლიან მცირე. სახაზინო გადასახადების აკრეფა ასეთ პირობებში შეუძლებელია.

ხალხი მაინც არ იტეხს გულს, ეწაფევის მშვიდობიან ცხოვრებას და იმედი აქვს, რომ რესპუბლიკა მას ააშორებს ყოველგვარ ფათერაკს, განსაკუთრებით ომებს მომავალში. ამიტომაც ყველანი შეღაღადებენ თავიანთ ენაზე და რჯულზე ქვეყნის გამჩენს, რათა რესპუბლიკის მთავრობას მიეცეს ძალი და ღონე მათი დასაფარავად. სასიამოვნოა ის გარემოება, რომ ყველგან სრული სიწყნარეა, ავაზაკობას, ძარცვა-ქურდობას თითქმის არა აქვს ალაგი. ასე არ ყოფილა ინგლისელების დროს: ყაჩაღობას მაშინ უმაღლეს წერტილამდე მიეღწევია და განმკითხველიც არავინ ყოფილა.

ღირსშესანიშნავია ისიც, რომ მაჰმადიანები და თვით ქრისტიანი—არასომხები შურის თვალით უყურებიან მეზობელ სომხეთის ტერიტორიიდან ჩვენსკენ; ერთი რომ დაუსტვინოთ—ასე ამბობენ ადგილობრივ,—აქეთკენ გადმოიბარგებიან. დეპუტატმა ბევრი ნახა ლტოლვილი იქიდან, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი უთხრა მათ, რესპუბლიკას არ ძალუძს ამდენი ხალხის დატევა მის ტერიტორიაზე. ისინი განუწყვეტლივ გადმორბიან მტკვრის იქითა მხარიდან და ჰქმნიან ძლიერ რთულ ლტოლვილთა საკითხს.

დეპუტატის ყურადღება მიიპყრო ორმა ფაქტმა ართვინის ოლქში: ერთი სასიამოვნო და მეორე სამწუხარო. 1) ქართველი მაჰმადიანები, რომელნიც თითქმის მთლათ გადიხვეწნენ ლიახოვების მეოხებით ოსმალეთში, დიდის სისწრაფით მოეშურებიან უკან; 1/3 მცხოვრებთა უკვე დაბრუნებულა ეს ამტკიცებს მათს ნდობას და იმედებს ნორჩ რესპუბლიკისადმი; 2) მცხოვრებთა გადახვეწის მიზეზით ეზო-ყანა ბაღები თითქმის ტყედ ქცეულა, ნადირები საშინლათ გამრავლებულა და მთელი ღამე მთაგორებზე ცეცხლია გაჩაღებული, რომლის ირგვლივ შემოკრებულა ხალხი და წყესავს ყანებს ნადირისაგან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვრივ-ობლების სიმრავლე ყოველ ნაბიჯზე. დეპუტატმა ბევრ ალაგას დაათვალიერა მათი და საზოგადოთ ღარიბთა ქოხმახი, ხშირათ ქოხში ერთი პეშვი ფქვილიც ვერ ნახა, მდგომარეობა აუწერელია. ქალი და ბავშვი ბევრ ალაგას უკვე სხვის მომკილ ყანებში აგროვებს თითო-ოროლა ქერის თავთავებს.

მთელ გავლილ ტერიტორიაზე დეპუ-

აგრეთვე სხვა და სხვა კომიტეტებში და საბჭოებში) არამედ მომავალ თაობის მთლიანად ინტერესები".

ამ დებულებებში ხაზი უნდა გაესვას ერთს ღირს შესანიშნავ აზრს: სახელმწიფოს მართვა-გამგეობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დანაწილდეს ცალკე პროფესიონალურ ჯგუფების კერძო ინტერესების ხაზებით. ყოველგვარი ყურადღება უნდა მიექცეს ცალკე კავშირების მოთხოვნილებებს, ისევე როგორც კერძო ქალაქების და ან ტერიტორიალურ ოლქების სურვილებს,—მაგრამ ყველაზე უფრო მაღლა სდგას საზოგადოების ინტერესები მთლიანათ, და ამასთანავე არა მარტო მიმდინარე მომენტის ინტერესები, არამედ—საზოგადოების განვითარების ინტერესებიც, მომავალ თაობათა ინტერესები.

სახელმწიფოს უქადის საფრთხეს, თუ მისი ეკონომიური პოლიტიკა დაქუცმაცდა კერძო ჯგუფების ინტერესების ზედგავლენით. ამ შეგნებით არის გამსჭვალული კონგრესის რეზოლიუციის შემდეგი მუხლი:

„5 პარლამენტს ეკუთვნის უფლება სოციალურ პოლიტიკის საერთო საფუძვლების დაწესების და კანონების გამოცემისა. პარლამენტი გადასწყვეტს თუ წარმოების, და საზოგადოებრივ მეურნეობის რომელ დარგებში და რა ზომით შეიძლება მოხმარებულ იქნეს სოციალიზაციის პრინციპი. და ის განახორციელებს უმაღლეს კონტროლს საზოგადოებრივ დაწესებულებებზე და გადასწყვეტს საკითხს იმ კაპიტალების გადიდების შესახებ, რომლებიც იქ არის მოთავსებული. იქ იქნება აგრეთვე უკანასკნელი ინსტანცია ფასების განსაზღვრის დროს".

რეზოლუციის მე-6 მუხლი საზღვრავს იმ როლს რომელიც უნდა ითამაშონ სოციალისტურ წესწყობილების დროს პროფესიონალურ ტიპის ორგანიზაციებმა.

დასასრულ, მეშვიდე (ბოლო) პუნქტი შესაძლებლად და სასურველად სახავს პარლამენტის გვერდით განსაკუთრებულ „სამეურნეო საბჭოს" შექმნას, რომელიც დაყრდნობილი იქნება მშრომელთა პროფესიონალურ ორგანიზაციებზე. ეს პუნქტი შეტანილი იყო რეზოლიუციაში გერმანელ დელეგატების წინადადებით ისინი აღნიშნავდნენ იმ დადებით შედეგებს რომლებსაც მიაღწიეს გერმანიის სოციალისტებმა „მუშათა საბჭოს" დაარსებით.

ჩემი შენიშვნების მიზანია გავაცნო ამხანაგები იმას თუ რა არის გაკეთებული ჟენევის კონგრესის მიერ. ამიტომ დაწვრილებით შეჩერება მოყვანილ რეზოლიუციის გარჩევაზე მე არ შემიძლია, დავკმაყოფილდები ერთი შენიშვნით.

სოციალიზმის პოლიტიკური ფორმების საკითხი მოყვანილ რეზოლიუციით არ არის ამოწურული. არ შეიძლება იმისი მტკიცება, რომ რეზოლიუციაში დაჩრდილულ მხარეებს აქვთ ნაკლები მნიშვნელობა, ვიდრე რეზოლიუციაში შეტანილ დებულებებს. მაშასადამე, ჩვენ აქა გვაქვს საქმე არა პროგრამასთან და არც ტაქტიკურ პლატფორმასთან, არამედ უფრო დეკლარაციასთან, რომელიც ხაზს უსვამს რამოდენიმე სახელმძღვანელო იდეებს, იმ იდეებს, რომლებიც შეთანხმდნენ ყველა ქვეყნებში თავისი წარმომადგენლების გამომგზავნი პარტიები.

საქართველოს სოციალდემოკრატიას შეუძლია კმაყოფილების გრძნობით აღნიშნოს, რომ სწორეთ ამ სახელმძღვანელო იდეებზე იყო დაფუძნებული მთელი მისი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობითი მუშაობა.

ვლ. ვოიტინსკი.

ტერმა ვერ ნახა ვერც ერთი სკოლა, ვერც ერთი მასწავლებელი. ამ მხრივ მუშაობა უზომოა მომავალში.

დეპუტატმა დაათვალიერა გავლილ ტერიტორიაზე მდგომი ჯარის ნაწილები, მათი ბინები, გამოიკვლია მათი მდგომარეობა. საერთოთ კარგი შთაბეჭდილება მიიღო. განსაკუთრებით მისი ყურადღება მე-9 ასპინძის ათასეულმა მიიპყრო თავისი ერთგული სამსახურით, ხალხიც ძლიერ კმაყოფილია მით.

ეს მესამეთაა დეპუტატი ჩხენკელი ესტუმრა ამ ფრიად მნიშვნელოვან კუთხეთ, ხალხიც კარგათ იცნობს მას და ესაა მიზეზი, რომ ასე აღტაცებით ეგებებოდა მას. დამსწრეთა შორის ბევრი იყო ისეთი, რომელიც გადაურჩენია დეპუტატს სახრჩობელასაგან ძველი რეჟიმის დროს, ან კიდევ გაუნთავისუფლებია საპყრობილიდან და და დაუბრუნებია ციმბირიდან რევოლიუციის დასაწყისში. მილს მის ფიზიკურ გადარჩენას დიდი ომის დროს ხალხი ქართველ ერის აწერს, რომლის სახელით მოღვაწეობდა დეპუტატი ჩხენკელიც.

13 სექტემბერს დეპუტატს შეხვდნენ აჭარის წყალზე ბათომის ქალაქის მოურავი ანჯაფარიძე, დეპ. ფალავა და სხვები და მოსთხოვეს მას ბათომში ჩასვლა ევროპიდან მომსვლელ დელეგატების შესახვედრათ, მაგრამ, ვინაიდან დეპუტატს ეტლით მგზავრობის დროს მარცხი მოსვლია და მკერდი და ფეხი უტკენია, მან ვერ შესძლო ბათომში ჩასვლა და აჭარით ახალციხისაკენ გაეშურა გამოსაკეთებლათ.

X.

შრომის კომისრის მოხსენება

(ჭიათურის შავი-ქვის სამრეწველოს მუშათა მდგომარეობა).

(გაგრძელება. იხ. „ერთ." № 210).

დამტვირთავთა შრომის ნაყოფიერება.

დამტვირთავთა სამუშაო ქირისა და მათი შრომის ნაყოფიერების საკითხი ხშირათ იწვევს აზრთა სხვადასხვაობას შავი ქვის ექსპორტერებისა და დამტვირთავთა შორის. შავი ქვის მწარმოებლების აზრით დამტვირთავთა არტელს მუშებს უფრო ნაკლები რიცხვი უნდა ჰყავდეს, ვინაიდან, მათი აზრით, საქმის კეთილ სინდისიერათ ასრულების დროს შეიძლება უფრო მეტი ვაგონების დატვირთვა, ვინემ ეხლა. ეს საკითხი ჩემი ჭიათურაში ყოფნის დროსაც აღძრულ იქნა ექსპორტების მიერ; მე იძულებული შევიქენი, მხარეების თხოვნით, სანიმუშო დატვირთვა მომეხდინა, მაგრამ არავითარი შესაძლებლობა არ არის ამ საბუთებზე დავეყრდნოთ, ვინაიდან სხვა და სხვა მიზეზების გამო ექსპორტერები მოკლებული არიან საშუალებას განუწყვეტლივ მიაწოდონ დასატვირთავად ვაგონების საჭირო რიცხვი.

ეს სანიმუშო დატვირთვა, ექსპორტერებს შეუძლიათ გამოიყენონ დამხმარე მასალათ ვაგონების დატვირთვისათვის ფასის გადასაწყვეტად და მეტი არაფერი. ექსპორტერების განკარგულებაში რჩება ერთი საშუალება—მათ შეუძლიათ იყოლიონ ქვის დასატვირთავად მუშათა განსაზღვრული რიცხვი; ეს მუშები მიიღებენ თვიურ სასყიდელს და ისარგებლებენ ყველა იმ უფლებებითა და შეღავათებით, რომლითაც სარგებლობენ შრომის სხვა დარგის მუშები. საკითხის რადიკალურათ გადასაწყვეტად, ექსპორტერებს სხვა საშუალება არა აქვთ, მაგრამ ისინი შესაძლებლათ ვერ თვლიან იყოლიონ მუშათა მუდმივი რიცხვი და აძლიონ მათ განსაზღვრული ჯამაგირი.

ბაქანთა დაყოფა კატეგორიებათ. საწყობი ბაქნები, საიდანაც ვაგონები იტვირთება შავი ქვით, სხვა და სხვა ხასიათისაა.

არის ბაქნები კარგათ მოწყობილი, უფრო ცუდათ მოწყობილი და ასე. სატარიფო პალატამ, შრომის ქირის დაწესების დროს ანგარიში გაუწია ამ გარემოებას და ბაქნები დაყო 3 კატეგორიად. მაგრამ ვინაიდან ეს დაყოფა არ იყო საკმარისად განსაზღვრული და ამ ნიადაგზე მუდმივი უთანხმოება სწარმოებდა, მე შევადგინე შერეული კომისია ექსპორტებისა და მტვირთავთა წარმომადგენლებისაგან, რომელმაც გამოიკვლია რა ბაქანთა მთელი რიგი, საჭიროთ სცნო ბაქნები დაყოფილიყო არა 3 კატეგორიათ, არამედ 4 კატეგორიათ. სატარიფო პალატას მოუხდება დააწესოს სამუშაო ქირა 4 კატეგორიის ბაქნებიდან დატვირთვისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კატეგორიებს შორის არსებული სამუშაო ქირის განსხვავება 5 კაპეიკი (1 კატეგ. ღებულობს 1 მან. 20 კაპ., მე-2—1 მან. 25 კაპ. მე-3—1 მან. 30 კაპეიკს) არ არის დამაკმაყოფილებელი; მე მგონია, რომ უფრო სწორი იქნებოდა კატეგორიებს შორის შემდეგი განსხვავება:

1: 2: 3: 4—1: 1,25: 1,50: 1,75 (ერთეულათ მიღებულია პირველ კატეგორიის პლატფორმიდან გადატვირთვა.

ხელფასი ქვის გადაზიდვისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჭიათურის სამრეწველოს მუშათა ერთი კატეგორია არის ქვის გადამზიდავნი. წინეთ მათ არ ქონდათ არავითარი ორგანიზაცია, რომლის ირგვლივ მათ შეეძლოთ გაერთიანება და თავისი პროფესიონალური ინტერესების დაცვა. კლასობრივ ინტერესების და შეერთების აუცილებლობის შეგნება, როგორც სჩანს, ცოტათი შედის ამ წრეში მესაკუთრეებშიაც, რომელსაც ყვლეფს კაპიტალი მათი ცოცხალი ინვენტარით. ამ დროებით მათ აქვთ თავისი პროფესიონალური კავშირი, რომელიც წარდგენილია ჭიათურის სამრეწველო რაიონის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში.

ვინაიდან უკანასკნელათ სატარიფო პალატამ დაადგინა მომატება ქვის გადაზიდვისათვის, აღიძრა საკითხი რამდენი პროცენტი უნდა გავრცელდეს მათზე.

ამ საკითხის გადაწყვეტა საძნელო შეიქნა იმ მიზეზით, რომ გადამზიდვნი მუშაობენ არა დღიურათ, არამედ—ფუთობით მაღაროს ან სარეცხ ქარხნის ბაქნიდან მანძილის სიშორის მიხედვით. მუშები მოითხოვდნენ 90 პროცენტის მომატებას, შავი ქვის მწარმოებლები კი უმატებდნენ 50 პროცენტს. ამ საკითხის გადასაჭრელათ იძულებული შევიქენით დავეარსებინა შერეული კომისია მწარმოებლებისა და მეურმეთა პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენელთაგან. საკითხის გარჩევის დროს დაისვა კითხვა: როგორი ელემენტებისაგან შესდგება მეურმეთა სამუშაო ქირა, რამდენი უნდა მიეცეს თითონ მეურმეს, რამდენი ხარებისა და ურმისათვის.

მეურმეთა წარმომადგენელნი სცნობდნენ, რომ თითეულ მეურმე, მიღებულ უნდა იქნეს რა მისი შრომა ისევე საძნელოთ, როგორც მტეხავ მუშათა, ხარითა ურმით უნდა მიიღოს იმდენი, რამდენსაც ღებულობს 4 მუშა; ისინი მოითხოვენ გადაზიდვის დაწესებას დროს შეფასების დაეწესებიათ 1000 მანეთი (მტეხავი ღებულობს 250 მან. 250×4).

ამ დებულების წინააღმდეგ შავი ქვის მწარმოებლები ამბობდენ, რომ არ შეიძლება ურემსა და ხარებს ისეთივე ქირა მიეცეს, როგორც მეურმეს.

დასასრულ მხარეები შემდეგში შეთანხმდნენ: მეურმეს მიეცეს იმდენი, რამდენსაც მიიღებს მტეხავი გამრავლებული სამჯერ ოცი პროცენტის მიმატებით ამორტიზაციისთვის იმავე მტეხავის ორკეც ხელფასით $(250\times3\ \frac{500\times20)}{100}$ ე. ი. 850 მანეთი დღეში.

(დასასრული იქნება).

კახეთის რკინის გზაზე

დაუდევრობა თუ დანაშაულობა?!

ამ გზის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. სხვათა შორის, ხშირად გამიგონია: კახეთის რკინის გზით წამსვლელს გარდა განუსაზღვრელ თავისუფალ დროისა, ანდერძიც დაწერილი უნდა ჰქონდესო.

მწირე გამოცდილებამ სავსებით დამარწმუნა, ამ თქმულების სრულ სიმართლეში. ცოტაა ის, რომ ამ გზაზე კუს ნაბიჯით მიდის მატარებელი, რომ ის ყოველ სადგურზე მთელი საათობით ჩერდება. თვით მგზავრის სიცოცხლეც მუდამ განსაცდელში ყოფილა. მე გავხდი მოწამე იმ საშინელ კატასტროფისა, რომელიც ამ თვის ათში მოხდა სადგურ ბადიაურ-კაჭრეთის შორის მე-70 თე ვერსზე. საკმარისი შეიქნა ერთი შპალის გატეხა, ისიც თავისთავად, რომ თითქმის მთელი მატარებლის სიგრძეზედ ლიანდაგი სრულებით დანგრეულიყო და ერთად რვა ვაგონი გზას გადამცდარიყო. ძნელია იმ წუთების აღწერა, რაც ამ დროს მგზავრებმა განიცადეს. კიდევ რამოდენიმე წუთი საკმარისი იყო, რომ ნახევარი მგზავრები ჭკუიდან შეშლილიყო. მოხდა სასწაული, იშვიათი შემთხვევა. ვაგონები აღარ გადავარდნილა ორივე მხრით ფერდობებში და მგზავრებიც უვნებლად გადარჩენ. აბა საშინელ შიშზედ, რამოდენიმე ქალების გულის წასვლაზე და სხვა ნივთიერ ზარალზე ხომ ლაპარაკიც მეტია სიცოცხლის შენარჩუნებასთან შედარებით. მთელი საფრთხის სიდიდე მხოლოდ მაშინ იგრძნეს მგზავრებმა, როცა გარეთ გამოვიდნენ და თავის თვალით დაინახეს მთელი ასი საჟენის სიგრძეზედ ნაფოტებად ქცეული სრულიად დამპალი შპალები და აქეთ-იქით გადაყრილი რელსები. მგზავრების აღშფოთებას საზღვარი აღარ ჰქონდა ამ სურათის დანახვაზედ თურმე მხოლოდ მგზავრებისათვის იყო საიდუმლო, რომ მთელ ამ გზაზედ შპალები დიდი ხანია დამპალია და მასზედ მოგზაურობა მუდამ სახიფათოა.

რა ვქნათ, მუშა ძვირია, შპალები ბევრი ჯდება და ვერ გამოვცვალეთო,—იყო პასუხი რკინის გზის ზოგიერთ უფროს მოხელეებისაგან. სამაგიეროთ, ერთმა პატარა მოხელემ დარაჯმა ასე გვიპასუხა: „აი ეს „ფლაგი" რომ არ დამირჩეს ოდესმე მზათ, ამისათვის მე დამითხოვენ და იმას კი, ვისიც ბრალიც დღევანდელი უბედურებაა, არაფერსაც არ ეტყვიანო". —ახირებულია სწორეთ: მუშა ხელი ძვირია, შპალები ბევრი ჯდება და ამიტომ გზას არ ვაკეთებთო. გამოდის, რომ ათასობით ადამიანების სიცოცხლე მათთვის უფრო იაფი ყოფილა, ვიდრე შპალებზე გაწეული ხარჯები.

ჩემის აზრით აქ აშკარა დანაშაულობას აქვს ადგილი და მიკვირს, რომ ჩვენს საგზაო უწყებას აქამდის არ მიუქცევია ყურადღება ამ გარემოებისათვის. სანამ კიდევ დრო არის, სანამ მართლაც დიდი უბედურება მოხდებოდეს ამ გზაზედ, საჭიროა ეხლავე იქნეს დანიშნული საგანგებო კომისია ამ გზის მდგომარეობის გამოსარკვევათ და თუ მისი შეკეთება მართლაც არ შეიძლება, უმჯობესია სულ დაიკეტოს, თორემ სასწაულები მუდამ არ ხდება და სიკვდილის შემდეგ სინანული გვიან იქნება.

რაფიელ რამიშვილი.

ჯარისკაცის წერილი

ბათომი. მე ვმსახურებდი პირველ რაზმის მეორე ათასეულის მეორე ტყვის მფრქვეველ გუნდში და მასთან როგორც ყველა ჯარის კაცები აგრეთვე თვით ზემდეგიც დამიმტკიცებს, რომ ყოველგვარ ბრძანებას ვასრულებდი ისე, როგორც მოითხოვს სამხედრო სამსახური. მიუხედავათ ჩემი გულწრფელი სამსახურისა, არ ვიცი რით დავიმსახურე ჩვენი კაპიტანის ბ. ი. დათეშიძის ისეთი გულისწყრომა, რომ მან არც ერობის ექიმის, არც ერობის თავმჯდომარის მოწმობას არ ერწმუნა და არ დაიჯერა, რომ ჩემსას მთელი ოჯახი სახადი ტიფით ავათ იყო, არავინ მომვლელი არ ჰყავდა ჩემს მეტი. მშობლები დამეხოცა. მოხუც ჩემს დედ მამას სიკვდილის დღესაც არ მიეცა საშვალება ენახა ჩემი თავი, ყველა მოწმობის თუ დეპეშის მოსვლაზე მპირდებოდა გაშვებას, მპირდებოდა და არ მიშვებდა. მე გაკვირვებას გამოვსთქვამ არა იმის გამო, რომ კაპიტანმა დაარღვია საერთო წესები და შვებულებაში არ გამიშვა. ამასთან უნდა აღვნიშნო, რომ კაპიტანი ძლიერ ხშირათ უშვერი სიტყვებით უმასპინძლდება ჯარის-კაცებს. საჭიროა ვისიც ჯერ არს მიექცეს ყურადღება ბ. დათეშიძის საქციელს და მოეთხოვოს მას პასუხი.

ჯარის-კაცი **ივანე ხირაძე.**

ს.-დ. პარტიაში

ქ. სამტრედია. 10 სექტ. შესდგა სამტრედიის რაიონის ს. დ. ორგანიზაციის კომიტეტის საგააგებო კრება, რომელსაც დაესწრნენ ქუთაისის სამაზრო კომიტეტის წარმომადგენლები ამხ. ასათიანი და ს. წულაძე. კრებას თავმჯდომარეობს გ. დუნდუა. განსახილველი იყო 30 აგვისტოს მომხდარ გაფიცვის საკითხი. კამათის შემდეგ კომიტეტმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა მოხსენება 30 აგვისტ. ა./წ. სამტრედიის რკ. გზის წევის დარგში მომხდარი გაფიცვის შესახებ კომიტეტმა დაადგინა: დღევანდელ მომენტში გაფიცვა არის დაუშვებელი მით უმეტეს ისეთი დეზორგანიზატორული გაფიცვა, როგორიც მოახდინეს 30 აგვისტ. წევის დარგის მუშებმა და გმობს მას. პარტიის წევრნი, გაფიცვის მოწყობაში დამნაშავენი, გასამართლებულ იქნან პარტიულათ, რისთვისაც არჩეულ იქნას 3 კაცისაგან შემდგარი კომისია.

კომისის წევრებათ არჩეულ იქნა: ამხ. კალ. კახიანი, რ. აბულაძე და გ. შენგელია.

თანახმად მდივნის განცხადებისა დაევალა კომიტეტის ბიუროს ქალაქის კოლექტივის ბიუროსთან ერთად შეიმუშაონ ევროპიდან მომავალ სოციალისტ. დელეგაციის შეხვედრის გეგმა.

ლ. ლევანიძე.

ს. ქვათისხევი. 21 ენკენისთვეს მოხდა საზოგადო კრება კვათისხევის ს. დ. ორგანიზაციისა, რომელზედაც მოხსენება გააკეთეს შ. ჯავახიშვილმა და ს. ედიბერიძემ. მათ ფართოდ გააცნეს ამხანაგებს თანამედროვე მომენტი, პარტიული მუშაობის დიადი მნიშვნელობა მერმე შეეხნენ ევროპიდან საქართველოში მომავალ სოც. დელეგაციას და აუხსნეს კრებას, თუ ვინ არიან დელეგაციის წევრები.

მერმე განიხილეს ამავე დღეს დანიშნული ხმოსანთა ყრილობის დღის წესრიგი.

პარტიული მუშაობა ამ თემში ძალიან სუსტობდა ადგილობრივად ძალების უყოლობის გამო; ეს ერთი თვეა რაც გამოცოცხლება დაეტყო აქ პარტიულ მუშაობას. პარტიულ ბიუროსათვის ამ ახლო ხანში იშოვნიან ბინას რაც ხელს შეუწყობს პარტიულ მუშაობას. „ერთობა" მოსდით. იწერენ „სოფლის მუშას". კოლექტივი ღებულობს ზომებს რათა დაარსონ ამ თემში სხვადასხვა ადგილას იაჩეიკები. ასეთი „იაჩეიკა" უკვე დაუარსებიათ ძეგვში, რომელშიაც ჩაწერილია უკვე 70-მდე ამხანაგი.

თემის გამგეობაზე უნდა ვსთქვა, რომ დიდ სისუსტეს იჩენს. არ არის გზები გაკეთებული, ვერ შეუქმნიათ ვერავითარი წარმოება, თუმცა ამის საშვალება არის. ერთი სიტყვით ჯერ თითქმის არაფერი არ არის გაკეთებული, გასაკეთებელი კი ბევრია.

ხევ. კუნკულა.

მუშათა შორის

ბათომი. შრომის კომისარმა ცირკულიარით მიიღო შრომის მინისტრის ამხანაგისაგან, სადაც ნათქვამია, რომ თანახმად დამფუძნებელი კრების 1919 წ. 13 დეკემბრის დეკრეტისა 65 მუხლისა, იმ პირთ, რომელნიც ღებულობენ დღეში 600 მანეთს ან წლიურად 180000 მ. სავადმყოფო კასისათვის პროცენტები უნდა გამოერიცხოს 600 მანეთის ანგარიშით.

— მუშათა მაგიდამ გახსნა იაფფასიანი სასადილოები, სადაც ვაჭრობა სწარმოებს მხოლოდ ნაღდ ფულზე და სადილის წინასწარ დაკვეთით. ბევრ მუშებს კი საშვალება არ აქვთ ფული გადაიხადონ და წინასწარ დაუკვეთონ სადილი, ამის გამო მუშათა მაგიდამ აცნობა დაწესებულებათა უფროსებს, რომ იმ მოსამსახურეებს, რომელთა საშუალება არა აქვთ სადილების ფული ნაღდათ გადაიხადონ, სადილები მიეცემათ ნისიათ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებათა უფროსები პასუხისმგებელნი იქნებიან მოსამსახურეთათვის მიცემული სადილის ფასის გადახდაში,—ე. ი. სასადილოებში ნახარჯი თვის ბოლოს მოსამსახურეებს გამოერიცხება და სასადილოს გადაეცემა.

— სავადმყოფო კასის გამგეობამ წინადადებით მიმართა დაწესებულებების უფროსებს და ფაბრიკა ქარხნების პატრონებს, რათა მათ წარმოადგინონ სავადმყოფო კასის კანცელარიაში სია და ცნობები მათ დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა გვარის, ეროვნების, პროფესიის და წლოვანების აღნიშვნით. გარდა სამსახურში მყოფ მოსამსახურეთა სიაში შეტანილ უნდა იქნენ ახლად მიღებული და დათხოვნილი მოსამსახურენი გვარის და მათი ჯამაგირის რაოდენობის მიხედვით.

— 7 სექტემბრის სხდომაზე კულინართა კავშირის გამგეობამ დაადგინა ყველა შემოსულ თანხიდან დაჩქარებით გადაირიცხოს კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის სასარგებლოთ 5 პროცენტი და დაუყონებლივ გადაეგზავნოს სეკრეტარიატს.

— 8 სექტემბრის სხდომაზე საპარიკმახეროებში მომუშავეთა პროფ. კავშირის გამგეობამ დაადგინა გამგეობის კასის დასაარსებლათ გადაირიცხოს ერთი დღის ხელფასი. სამუშაო ქირის გადარიცხვის დღეთ დანიშნულ იქნა ერთ-ერთი მახლობელი კვირა დღე. არჩეულ იქნა კომისია, ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ და საპარიკმახეროს მეპატრონეებთან და შრომის კომისართან მოსალაპარაკებლათ.

— 15 სექტემბრამდე შრომის ბირჟაში ჩაეწერა 29 კაცი (17 მამაკაცი და 12 ქალი), ახლად ჩაეწერა 6 კაცი (3 ქალი და 3 მამაკაცი). 16 სექტემბერს ბირჟაში მოითხოვეს 5 მუშა.

— **სოხუმის** პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ დაადგინა გამორიცხოს ის კავშირები, რომლებიც ცენტრალური ბიუროს კასაში ყოველთვიურათ არა უგვიანეს შემდეგი თვის 10 რიცხვისა არ შეიტანენ მათდამი ხვედრ გადასახადს. ეს დადგენილება გამოწვეულია ცენტრალური საბჭოს უსახსრობის გამო.

— **ქუთაისი.** 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე ქუთაისის შრომის ბირჟაში ჩაეწერა 305 უმუშევარი ქალი და კაცი; სამუშაოზე გაიგზავნა 374.

პროვინცია

მოწოდება.

ლანირ-ჯაგანის თემის მცხოვრებთა საზოგადო კრებამ 1920 წლის 11 სექტემბერს ერთხმათ დაადგინა—ააგონ ამავე თემის ბაზრის მოედანზე სახალხო სახლი. ამ მიზნით დაარსდა ე. წ. ლანირ-ჯაგანის თემის სახალხო სახლის აღმშენებლობითი კომიტეტი. მთელი საჭირო ხარჯები, ფულის თუ მასალის შეგროვების სახით, დამყარებულია მხოლოდ თავისუფალ შემოწირულებაზე.

ლანირ-ჯაგანის თემი შესდგება 600 კომლისაგან. ფრიად გულუხვ შემოწირულებითაც, ძალზედ საგრძნობია ამ პატარა თემის მცხოვრებთათვის ასეთი დიადი მიზნის განხორციელება მხოლოდ საკუთარი ძალღონით. მაგრამ მისწრაფება სინათლისადმი იმდენათ ძლიერია ხალხში, რომ უკანასკნელი სრულიად ევიწყებს არსებულ ეკონომიურ კრიზისს და აღფრთოვანებით ეგებება ამ სასიქადულო საქმეს.

თემის მცხოვრებთა ასეთი ძლიერი წყურვილი განათლებისა და შეგნებული სურვილი სახალხო კულტურის ტაძრის აშენებისა ამ მწვავე ეკონომიურ კრიზისის დროს, არ შეიძლება დარჩეს უპასუხოდ და გამოძახილი არ ჰპოვოს ყოველი მოქალაქის გულში, ვისაც ცოტა მაინც შერჩენია ხალხის სიყვარული და ოდესმე უფიქრია მის გონებრივ ამაღლებაზედ, ვინც ადამიანურ გრძნობებს ატარებს და საქართველოს რესპუბლიკისა ღირსეულ მოქალაქედ ითვლება.

ამისათვის ლანირ-ჯაგანის თემის სახალხო სახლის აღმშენებელი კომიტეტი მოგმართავთ, საკუთარი წვლილის გამოღებით თუ ნაცნობ-მეგობრებში შემოწირულებათა შეგროვებით დაეხმაროთ და ხელი შეუწყოთ ამ დიად საქმეს. შეგროვილი შემოწირულება გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: ლანირ-ჯაგანის სახალხო სახლს.

ლანირ-ჯაგანის თემის სახალხო სახლის **აღმშენებელი კომიტეტი.**

თიანეთის მაზრაში თემების არჩევნები:

თიანეთის რაიონში არჩეულ იქნენ: სოც. დემ. 14, ერ. დემ. 14, ფედერალისტები 12.

ერწოს რაიონი: სოც. დემ. 31, ერ. დემ. 4, ს. ფედერალისტები 10.

ახმეტის რაიონში ყველა ს. დემოკრატები გავიდნენ.

წერილი რედ. მიმართ

„სახალხო საქმის" 921 და 927 №№-ში მოთავსებულ კაპ. ასათიანის წერილებმა, რომლებიც მიმართული იყო პოლკ. ჰეჩინაძის წინააღმდეგ, მეტათ გაამწვავა ისედაც არა ნორმალური მდგომარეობა ათასეულის ცხოვრებისა. ი. ს. სადარაჯო ათასეულის ოფიცერთა საერთო კრება საყვედურს უცხადებს კაპ. ასათიანს იმ უტაქტო გამოსვლების გამო, რომელიც მან გამოიჩინა ხსენებულ წერილებში. კაპ. ასათიანს ქონდა საშვალება, რომ ზოგიერთი ოფიცრები არ ჩაეყენებია უხერხულ მდგომარეობაში და ის ჩვენებები, მიცემული ოფიცრების მიერ გამომძიებლისადმი, და აგრეთვე კერძო საუბარი ი. ს. დირექტორის ბ-ნ ჟორდანიას კაბინეტში, რასაც მიზნათ ქონდა საერთოდ ათასეულის მდგომარეობის გაშუქება—არ გამოექვეყნებია პრესაში. ოფიცერთა საერთო კრება ურჩევს კაპ. ასათიანს, რომ ვინაიდან მის მიერ აღძრული საქმე ბ-ნ პოლკ. ჰეჩინაძის წინააღმდეგ გამოძიების პროცესშია და ათასეულის ოფიცრობა უცდის მის სამართლიან დაბოლოებას,—თავი შეიკავოს პრესაში გამოსვლებიდან. ამასთან ერთად ოფიცერთა კრება თხოვნით მიმართავს იმ უფროსებს, ვის უფლებაშიც იმყოფება გამოძიების წარმოება, დააჩქარონ საქმის მსვლელობა, რათა ბოლო მოეღოს ამ წერილების გამო შექმნილ არა ნორმალურ მდგომარეობას.

რაც შეეხება უკანასკნელ წერილს მოთავსებულს „სახალხო საქმის" 927-ში, ოფიცერთა კრება ვალდებულად თვლის თავს, სინამდვილის აღსადგენათ განაცხადოს შემდეგი: ა/წ. სექტემბრის 10-ს ი. ს. დირექტორმა ბ-მა ჟორდანიამ მოისურვა ათასეულის დათვალიერება, რაიც მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს. ჩვეულებრივი სამხედრო ცერემონიის შემდეგ მან ცალკე შეაჯგუფა ჯარის კაცები და მოისმინა პრეტენზიები. შემდეგ მიმართა ოფიცრებს და თხოვა, მის მიერ დასახელებულ პირებს გარდა, აერჩიათ თავისი წარმომადგენლები, ან თუ მოხერხდება ყველა გამოცხადებულიყო მასთან მეორე დღეს მოსალაპარაკებლად. ოფიცრების მიერ იქნა ორი წარმომადგენელი, რომელნიც სხვებთან ერთად გამოცხადდნენ ბ-ნ დირექტორთან. ასე რომ კაპ. ასათიანის მტკიცება თითქოს ბ-ნ ჟორდანიასთან გამოცხადდენ მარტო დასახელებული ოფიცრები სიმართლეს მოკლებულია.

ოფიცერთა საკრებულო *).

---

*) ვსთხოვთ „სახალხო საქმეს" ეს წერილი გადაბეჭდოს.

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**

განცხადებანი

იყიდება

დაჩქარებით სააგარაკო ნაკვრები, ავჭალის სადგურს იქეთ, ქალაქის წყალ-სადენის ბაქანის გვერდით საუკეთესო სწორ ადგილზე, საჟენი 60—100 მან. მისამართი: თფილისი, თუმანოვის შესახვევი, 24, ივანე როსტომაშვილი. (3063 2—2)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეთი გიპნოზი. მიიღება: დილის 10 1/2—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (23—ოქტ.)

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20. (1—ოქტ.)

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
დაბრუნდა და განაახლა შინაგანი და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16. 3072—5—2)

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკუმოვი
გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან **მიხეილის პრ. № 28** ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად **სიფილისი,** ვენერიული ავათმყ. (გამწვავებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606" და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ. (7—ოქტ.)

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს: **საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება)** საღამოობით 6—7 1/2 საათ. მიხეილის საავათმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1. (12 ოქტ.)

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914".
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—3 ს. ფასი 50 მან. უსახსროთათვის უფასოდ 9—11 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირქის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (1-ოქტ.)

ექიმი
ბ. ი. ოყროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, სოლოლაკი

ექიმი
გ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქ. № 33. (21 ოქტ.)

ექიმი
ი. ა. ლომოური
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობით შეპყრობილთ იღებს დილ. 10—12-დე და საღამოს 6—7 საათ. კირქის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80. (4—ოქტ.)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
დაბრუნდა და განაახლა სიფილისით (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და კანით სნეულებიან ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათ. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა, № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (14 ოქტ.)

ექიმი
სოლომონ ისააკის ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (11—ოქტ.)

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
დაბრუნდა და იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს-დის პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 64 (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფონი 14—60. (18—ოქტ.)

ექიმი
[illegible] ისააკის ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის). ტელეფონი 7—38. (11—ოქტ.)

ექიმი
ლ. ვ. დიმენტი.
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალურად **შინაგან და ქალის ავათმყ.** დილის 9—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. ნიკოლოზის ქ. № 75, კიროჩნის ქ. ახლო ტელეფ 11—51. (11—ოქტ.)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ელექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 11 ოქტ.

ექიმი
ა. დ. პეპელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 11 ოქტ.

ექიმი.
გ. გ. რამენდიკი
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. მკურნავი შინაგან ბავშვების და სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების სნეულებათა. ავათმყოფების მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. მიხეილის პრ. № 121 ტელეფონი—5—42 (2—ოქტ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ოქტ.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული სიფილისით (წამ. „606" და „914") ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს (1 ოქტ.)

რკ. გზის სასურსათო კომიტეტი
იწვევს უფროს და უნცროს მოანგარიშეებს თფილისის, ხაშურის, სამტრედიის, ქუთაისის და შორაპნის კოოპერატივებისათვის. მისამართი: ელისაბედის ქ. № 200. სასურსათო კომიტეტი. (ნ. 3—1)

ჩემი შვილი არსენ ვაჩნაძე
ერთი წლის წინეთ წავიდა სახლიდან, რომლის შემდეგ არ დაბრუნებულა. მისი ნიშნები შემდეგია: ახალგაზდა 22 წლის, მაღალი ტანის, შავგრემანი, მარცხენა საფეთქელთან აქვს ჭრილობის ნიშანი, მუქ სათვალეებს ატარებს. რამდენიმე პირს ენახათ წარსულ შემოდგომას ბათომში. მის შემთხვევით მნახველს ბათომში, ან სხვა ნავთსადგურში, უცხო ქალაქებში უმორჩილესად ვსთხოვ შეგვატყობინონ უნუგეშო მშობლებს ამ მისამართით: ბელინსკის ქუჩა № 43, ნინო ვაჩნაძე. (3073 1—1)

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა იწვევს
რექტორს და ლექტორებს
რექტორის ჯამაგირი 1000 თუმანი თვეში ბინით, განათებით და გათბობით, განცხადებანი, ცნობებით წინანდელ მოღვაწეობაზე, მიიღება კანცელარიაში: პლეხანოვის პროსპექტი № 123 ყოველივე ცნობები აქვთ გამგეობისაგან. (4—3)

საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა №4.